გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

# ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№369 (428) 28 ივნისი – 5 ივლისი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## ალექსანდრე ჭაჭია: "უახლოეს მომავალში საქართველოში ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ"

გვ.2-8



## დიმიტრი მონიავა: განხეთქილების ტელევიზია

გვ.3

...თუ ხელისუფლებაში ვინმეს ჰგონია, რომ "რუსთავი 2"-ის დაკარგვა "ნაცმოძრაობას" მნიშვნელოვნად დაასუსტებს (ან მთავრობის მდგომარეობას გააუმჯობესებს), სავარაუდოდ, ცდება...

## ბექა კუპრაშვილი: "აბელ, ვარლამი მოსულა"!

გვ.6




## ბენია თხილაავა: არაკომპეტენტურობა თუ სიბრიყვე?

გვ.4



## "კაცი ჯაბანი რითა სჯობს..." პრეზიდენტი ერთ ადგილს ათამაშებს

გვ.5



## SOS — საფრთხე კარსაა მომდგარი!!!

გვ.10




## როგორ ინაწილებენ "სიტი პარკი" და მერია დაჯარიმებული მძღოლების ფულს — რა წერია ორმხრივი ხელშეკრულების გასაიდუმლოებულ პუნქტებში?

გვ.6

## იზა თამაზაშვილი: აურზაური სალხინეთში, ანუ სიმართლე, რომელზეც არ საუბრობენ

გვ.7

## კასიუს მარცელიუს კლეი, იგივე მუჰამედ ალი, იგივე მსოფლიო კრივის ლეგენდა!

გვ.12



# ალექსანდრე ჭაჭია: “უახლოეს მომავალში საქართველოში ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ”

ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია დიდი ხნის დუმილს არღვევს და იმ გამოწვევების შესახებ საუბრობს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გადაჯიშებით, გადაგვარებით ან სულაც გადაშენებით ემუქრება. ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველი განსაკუთრებული ინტერესით გაეცნობა ვიწრო ქართული და გლობალური პოლიტიკური პროცესების იმ უაღრესად კომპეტენტურ და მაღალმეცნიერულ ანალიზს, რომლითაც ქართული პრესა განებივრებული ნამდვილად არ გახლავთ.

**– ბატონო ალექსანდრე, საქართველო საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. რას ელით ამ არჩევნებისგან?**

– საქართველოში არჩევნები კარგა ხანია, აღარ არის ქართველი ხალხის პოლიტიკური ნების გამოხატულების აქტი. საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური კლასისგან ქვეყნის უცხოელი კურატორების მიერ იქმნება ხელისუფლების ის კონფიგურაცია, რომელსაც ისინი თვლიან საჭიროდ მოცემულ ეტაპზე. ასე მაგალითად, როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილისა და მისი ჯგუფის ხელისუფლებაში დატოვებამ შეიძლება ქვეყნის მართვის სადავეების დაკარგვა და სოციალური აფეთქებაც კი გამოიწვიოს, ფსონი დადეს ივანიშვილზე. მას შეუკოწიწეს პოლიტიკური ძალა მათ მიერვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური კლასის იმ ნაწილისგან, რომელსაც მანამდე ოპოზიციაში ამყოფებდნენ. იცოდნენ რა, რომ ახალი ხელისუფლება ვერანაირ პრინციპულ წარმატებას ვერ მიაღწევდა (ეს არც იყო მისი ამოცანა), ამერიკელებმა წინდაწინ დაიწყეს მისთვის ოპოზიციის შექმნა – კოალიციისგან ნაწილების მოწყვეტითა და პარალელურად ახალი სტრუქტურების შექმნით. მე არ ვიცი, ხელისუფლების როგორი კონფიგურაციის შექმნას ჩათვლიან ისინი საჭიროდ უახლოესი 4 წლისთვის, მაგრამ ახალი ხელისუფლებაც იქნება იმ პოლიტიკური კლასის ნაწილი, რომელიც ამერიკელებმა ჩამოაყალიბეს რეგიონში თავიანთი ინტერესების სარეალიზაციოდ. შეხედეთ რესპუბლიკურ პარტიას. რეიტინგი ნულოვანი, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ეს პარტია სძულს, მაგრამ ისინი არც კი ცდილობენ მოსახლეობის სიმპათიის მოპოვებას, მათ არ აღელვებთ ხალხის აზრი და ნება, ვინაიდან იციან, რომ ამერიკელების მჭიდში სხედან და პატრონები უსაქმურად არ დატოვებენ.

პარლამენტში, რა თქმა უნდა, შეიძლება მოხვდეს ეროვნულ-პატრიოტული ორიენტაციის 5-7 პიროვნება, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებაზე მათ, ბუნებრივია, არანაირი გავლენა არ ექნებათ.

**– არის იმის ალბათობა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში პატრიოტული ძალები მოვიდნენ?**

– არა, ასეთი ალბათობა უახლოეს მომავალში არ არის. პირველ რიგში, საქართველოში არ არსებობს ეროვნულ ფასეულობებსა და პატრიოტულ მიზნებზე ორიენტირებული სერიოზული პოლიტიკური პარტია, რომელსაც ქვეყნის ალტერნატიული განვითარების კონცეფცია გააჩნია. თითქმის ყველა პარტია და პოლიტიკური ლიდერი შევარდნაძის მიერ შექმნილი **„მოქალაქეთა კავშირის“** პროდუქტია. ისინი პერიოდულად, საჭიროების მიხედვით – ამერიკული სქემის შესაბამისად – გამოეყოფოდნენ ხოლმე **„დედა-პარტიას“**, გადადიოდნენ ოპოზიციაში, შემდეგ, სარგებლობდნენ რა რეჟიმისადმი საყოველთაო სიძულვილით, მოდიოდნენ ხელისუფლებაში. ჩვენთან ხომ ყოველი ახალი ხელისუფლება წინა ხელისუფლებისადმი სიძულვილის ტალღაზე მოდის. სააკაშვილი იმიტომ აირჩიეს, რომ სძულდათ შევარდნაძე, ივანიშვილი – იმიტომ, რომ სძულდათ სააკაშვილი. გონიერი ადამიანები ხვდებოდნენ, რომ ივანიშვილის ყველა დაპირება – აფხაზეთის დაბრუნება, საქართველოს გადაქცევა დუბაიდ, ასობით ფაბრიკა-ქარხნის აგება, სამართლიანობის აღდგენა – ფუჭია. მაგრამ რადგან ნათელი იყო, რომ მან სააკაშვილის გადაყენების ნებართვა მიიღო, აქტიურად დავუჭირეთ მხარი ივანიშვილის კოალიციას, რომლის ძირითადი ფიგურები **„მოქალაქეთა კავშირის“** წიაღში იშვნენ, მათი მსოფლმხედველობა კი არაფრით განსხვავდება სააკაშვილისა და მისი კომპანიის მსოფლმხედველობისგან. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ყველა ამ პოლიტიკური დაჯგუფების კადრების სამჭედლოს წარმოადგენს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით შექმნილი სოროსული არასამთავრობო ორგანიზაციები. როდესაც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაიწყო ამ ე.წ. არასამთავრობო სექტორის ჩამოყალიბების პროცესი, ჩვენი საზოგადოებრიობა გაკვირვებას ვერ მალავდა: სად პოულობენ ამ ფიზიკურად და ზნეობრივად მახინჯებს და რისთვის სჭირდებათ ისინი ამერიკელებსო? იმხანად **„ასავალ-დასავალში“** ვწერდი, რომ ეს მახინჯები ხვალ საქართველოს ხელისუფლებაში მოვლენ მეთქი. ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა სასაცილოდ აიგდო ჩემი ეს სიტყვები, წერდნენ, რომ ჩემი ფანტაზიებით ხალხს ვაშინებ. მაგრამ, როგორც ვხედავთ სწორედ ეს მახინჯები შეადგენენ ქართულ პოლიტიკურ კლასს, მათგან ყალიბდება პარლამენტი და მთავრობა, სწორედ ისინი მართავენ ქვეყანას ბოლო 20 წლის განმავლობაში. სხვათა შორის, ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ არის. ანალოგიური ვითარებაა ამერიკელების მიერ კონტროლირებად ყველა ქვეყანაში. უფრო მეტიც, გაიხსენეთ, როგორი ნაძირალები მართავდნენ რუსეთს ელცინის პერიოდში, როდესაც იქ ვითარებას ამერიკელები აკონტროლებდნენ. ან შეხედეთ ევროპელ პოლიტიკოსებს, მათი უმეტესობა ხომ დეგენერატია – პედერასტი, ლესბოსელი, ხეპრე, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი ხალხების ეროვნულ ინტერესებზე. ყველა გაჰყვირის ადამიანის უფლებებზე, თუმცა, მათ სულ არ აინტერესებთ ადამიანის ბუნებრივი, ფუნდამენტური უფლებები – სიცოცხლის უფლება, შრომის, ჯანდაცვისა და განათლების უფლება, არც ხალხების უფლება იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, აღმსარებლობის შესაბამისად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მხოლოდ აშშ-მა 30 ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობა დაბომბა, დაამხო ან შეეცადა დაემხო კანონიერი ხელისუფლება 50 ქვეყანაში, დახოცა მილიონობით ადამიანი. ადამიანის რომელ უფლებებზე ლაპარაკობენ ისინი? სიცოცხლის უფლებას ფაქტობრივად უგულებელყოფენ და თავს გვახვევენ ადამიანის უფლებების გაგებას როგორც ცხოველური ინსტინქტების, ყველაზე ქვენა გრძნობების რეალიზაციას, რასაც მსოფლიოს ყველა რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს, ვინაიდან ცდილობს იხსნას ადამიანების საზოგადოება გაპირუტყვებისგან. **„ევროპული ფასეულობების“** ნიღბით ამ პირუტყვული ინსტინქტების ხალხებისთვის თავსმოხვევით, ძალები, რომლებიც აკონტროლებენ დასავლურ სამყაროს, ზრდიან დეგენერატების თაობას, ქმნიან დეგენერატიულ პოლიტიკურ კლასს, რომლისგანაც აყალიბებენ პარტიებს, მთავრობებს, პარალელურად კი ხელში იგდებენ დაქვემდებარებული ქვეყნების რესურსებს.

**– თვითონ ქართველ საზოგადოებას არ შეუძლია ჩამოყალიბება პატრიოტული პოლიტიკური ძალისა, რომელიც შეძლებს ხელისუფლებაში მოსვლას?**

– არა, არ შეუძლია. ჯერ ერთი, ჩვენი საზოგადოება, რომელიც ბევრჯერ მოატყუეს, მნიშვნელოვანწილად დემორალიზებულია. მეორე – ინტელექტუალურად, პროფესიონალურად და მორალურად გამოსადეგი ადამიანების უმრავლესობამ ზურგი აქცია პოლიტიკას. მე არ ვიცი ქართველი საზოგადოების არც ერთი ავტორიტეტული წარმომადგენელი, რომელსაც სურვილი ექნებოდა დამჯდარიყო ამჟამინდელ ან მის წინამორბედ პარლამენტში, ჩართულიყო დისკუსიაში უვიც, დეფექტიან **„ნაციონალებთან“, „რესპუბლიკელებთან“** ან უნებისყოფო, უნიათო **„მეოცნებეებთან”.** ჭკვიან ადამიანებს ესმით, რომ კოლონიურად დამოკიდებული ქვეყანა დამოუკიდებელ პოლიტიკას ვერ აწარმოებს. მახსოვს, როდესაც ფრაქცია **„ქართული ოცნების“** ხელმძღვანელს დაუსვეს შეკითხვა რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების დაწესების შესახებ, მან განაცხადა: ვიდრე პასუხს გაგცემთ, ამ საკითხზე ამერიკელი მეგობრების აზრი უნდა გავიგოო. ანუ, გარდა იმისა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელს თავისი თვალსაზრისი არ აქვს, აპირებს რჩევის მისაღებად მიმართოს არა პარტიის ან ფრაქციის წევრებს, არამედ ამერიკელებს! ასეთი მონური დამოკიდებულების პირობებში რომელ ეროვნულ პოლიტიკაზე შეიძლება ლაპარაკი? და ღირსების მქონე რომელი ადამიანი დათანხმდება ამერიკელთა დირექტივების გამხმოვანებელ თუთიყუშად იქცეს?

თუკი ქართველი საზოგადოების პატრიოტული ძალები ეროვნული განვითარების პროგრამის ბაზაზე მაინც შეძლებენ კონსოლიდირებას, მოიძიებენ სახსრებს საორგანიზაციო და საინფორმაციო-პროპაგანდისტული სამუშაოებისთვის და მიიღებენ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას (საჭიროა ისეთი მხარდაჭერა, რომ 20-პროცენტიანი ფალსიფიკაციის შემთხვევაშიც კი ლიდერად დარჩე), მაშინ აშშ, ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ასეთი არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ. არჩევნების შედეგების დასაცავად საჭირო იქნება საერთო სახალხო მხარდაჭერა, პირდაპირი კონფრონტაცია ქვეყნის მეპატრონეებთან. მზად არის კი ქართველი ხალხი ასეთი კონფრონტაციისთვის? ვფიქრობ, არა. იცით, რამდენიმე დღის წინათ რა მოხდა ავსტრიაში? იქ საპრეზიდენტო არჩევნებში იმარჯვებდა ეროვნული ორიენტაციის პოლიტიკოსი, რომელიც ავსტრიის როგორც ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნების მოწოდებით გამოდის. ავსტრიაში ხომ კატასტროფული მდგომარეობაა. რად ღირს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ავსტრიელი მოსწავლეების 50 პროცენტისთვის გერმანული მშობლიური ენა არ არის – ისინი ემიგრანტები არიან... მაგრამ ბოლო მომენტში მის მოწინააღმდეგეს – ლიბერალს მწვანეთა პარტიიდან – 50,1% დაუწერეს და გამარჯვებულად გამოაცხადეს.

**– წინა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ივანიშვილი ხალხს რუსეთთან ურთიერთობის რეგულირებას დაჰპირდა, აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემების მოგვარების საქმეში წინ წაწევას. არაფერი გაკეთებულა. პრინციპში, არსებობს კი პერსპექტივები ამ მიმართულებებით?**

– რუსეთთან ურთიერთობა – ეს არის საგარეო პოლიტიკა, საქართველოს საგარეო პოლიტიკა კი საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივა არ არის, ეს ამერიკელი კურატორების პრეროგატივაა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში სასაცილოდ არ ეყოფათ, თუკი შეიტყობენ საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივის შესახებ. ამერიკელებმა საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურაც კი ისეთი შექმნეს, რომ საგარეო პოლიტიკური აქტიურობა სრულიად გამორიცხულია. წარმოიდგინეთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა საქართველოს ხელმძღვანელებს ორმხრივ პრობლემებზე დაელაპარაკოს. ვის უნდა შეხვდეს? საქართველოს პრეზიდენტს? განა ის რამეს წყვეტს? წარმოგიდგენიათ პუტინისა და მარგველაშვილის შეხვედრა? რაზე უნდა ილაპარაკონ? ან იქნებ, პრემიერს შეხვდეს? მაგრამ პრემიერს შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება? იქნებ ივანიშვილს შეხვდეს? და ვინ არის ივანიშვილი, რომ რუსეთის პრეზიდენტი შეხვდეს და მასთან რაღაც საკითხებზე იმსჯელოს? ანუ, საქართველოში არ არის თანამდებობის პირი, რომელთანაც რეალურად შეიძლება მაღალ დონეზე შეხვედრა და საერთაშორისო ურთიერთობებზე მსჯელობა. ამიტომ საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს (ასეთი იშვიათად, მაგრამ მაინც წარმოიქმნება ხოლმე) რუსეთი ამერიკელებთან დიალოგში წყვეტს. სხვათა შორის, ასევე იქცევა თურქეთიც და ევროკავშირიც.

შესაბამისად, ლაპარაკი არც არის რაღაც პროგრესზე აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობებში. ჩვენი ყველა ხელისუფლება, შევარდნაძის ხელისუფლებით დაწყებული, არანაირ რეალურ ძალისხმევას არ იჩენდა ტერიტორიული პრობლემის მოსაგვარებლად. მუშაობის ამ უბანზე ყოველთვის ინიშნებოდნენ უვარგისი, უფერული, კომიკური ფიგურები, რომლებსაც მოწინააღმდეგე მხარესთან დალაპარაკების შანსიც კი არ ჰქონდათ. და ეს გასაგებიცაა. ამერიკელები არ დაუშვებენ ჩვენს დაახლოებას გამოყოფილ ტერიტორიებთან და ხალხებთან იმიტომ, რომ ასეთი დაახლოება გამორიცხავს რიტორიკას ნატოში შესვლაზე, ამერიკის ბაზებზე, ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე და ა.შ. – ეს ყველაფერი კატეგორიულად მიუღებელია აფხაზებისა და ოსებისთვის. სწორედ ამიტომ რჩება ტერიტორიული პრობლემა მოუგვარებელი და ამ საკითხში არანაირი წინსვლა არც ამჟამინდელი და არც მომავალი ხელისუფლების პირობებში მოსალოდნელი არ არის. იმ პოლიტიკურმა კლასმა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში, უკვე დიდი ხანია უარი თქვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. თუმცა, მოსახლეობა მზად უნდა იყოს, რომ პოლიტიკოსები ამ თემაზე დაიწყებენ სპეკულირებას, როგორც სპეკულირებდნენ შევარდნაძეც, სააკაშვილიც და ივანიშვილიც, როდესაც ხალხს ამ პრობლემის **„ორ წელიწადში“** გადაწყვეტას ჰპირდებოდნენ.

**– ბევრი იმედოვნებდა, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამდა აფხაზებსა და ოსებთან დიალოგის დასამყარებლად, კრიზისიდან გამოსვლის ურთიერთმისაღები გზების მოსაძებნად...**

– დიახ, იყო ასეთი იმედები. იგი ახალი ადამიანი გახლდათ ქართულ პოლიტიკაში, ხელები სისხლში არ ჰქონდა გასვრილი და შეეძლო თავისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით **„სუფთა ფურცლიდან“** დაეწყო. იმხანად მე გამოვედი წინადადებით, ურთიერთობა აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, რუსეთთან, მათ შორის ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებთან, სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს რანგში აგვეყვანა და ამისათვის ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი გამოგვეყენებინა. ამ მიმართულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება პრეზიდენტს უნდა დაევალოს. ეს, რა თქმა უნდა, უკვე აღარ იქნება კომფორტული თანამდებობა, რომელიც ევროპის დედაქალაქებში უსარგებლო ყიალისა და ბრტყელ-ბრტყელი ლაყბობის საშუალებას იძლევა. საჭირო იქნება წასვლა სოხუმში, გუდაუთაში, ცხინვალში, აუცილებლად – ვლადიკავკაზში, მაიკოპში, გროზნოში, ნალჩიკში, მახაჭყალაში და, რა თქმა უნდა, მოსკოვში. თუ ეს იქნება მასპინძელი მხარეებისთვის მისაღები ადამიანი, იგი მაღალი სახელმწიფო სტატუსის მეშვეობით და დიალოგის გამართვის უნარის მქონე მაღალკვალიფიციური გუნდის დახმარებით შეძლებს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებით გარღვევის უზრუნველყოფას. გარღვევად მივიჩნევ საზღვრების გახსნას, საერთო ეკონომიკური და ჰუმანიტარული სივრცის შექმნას მუშახელისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილებით. მაგრამ ივანიშვილმა განგვიცხადა, რომ საქართველოსთვის იპოვა **„იდეალური პრეზიდენტი“**, რომელმაც, უკვე სამი წელიწადია, ქვეყანას თავი მოაბეზრა თავისი ვეტოს უფლებით და რომელიც აღტაცებით გვიყვება საკუთარ სექსუალურ შესაძლებლობებზე. ცხადი შეიქნა, რომ ივანიშვილი არაფერს გააკეთებს ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად და ის ვერ გახდება ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების გამომხატველი დამოუკიდებელი პოლიტიკოსი. და ეს გასაკვირი არც არის. შეუძლებელია, ფლობდე დიდ პირად კაპიტალს და თავისუფალი იყო ამერიკის დიქტატისგან. ეს გამორიცხულია.

**– ხელისუფლება ამბობს, რომ ძალღონეს არ იშურებს ქართული არმიის მოდერნიზაციისათვის, მისი ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. შეუძლია კი არმიას გახდეს გავლენის ფაქტორი ტერიტორიულ პრობლემაზე?**

– ქართული არმია არსებობს იმდენად, რამდენადაც სჭირდება ის ამერიკელებს. როგორც კი აღარ დასჭირდებათ ამერიკელებს, არანაირი ქართული არმია აღარ იქნება. საქართველოს არ აქვს და არც ჩანს ეკონომიკური შესაძლებლობები არმიის შესანახად იმიტომ, რომ არ აქვს ეკონომიკა. ის დღესაც ყველაზე სუსტი არმიაა ამიერკავკასიაში. უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოს გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქართული არმია არ არის ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფაქტორი. ამბობენ, ხარისხობრივად დღეს უკეთესი არმიააო, მაგრამ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მინისტრ ხიდაშელის არმია სჯობია მინისტრ კეზერაშვილის არმიას. ან განა როგორი უნდა იყოს ქართული არმია, რეგიონში მთავარ სამხედრო მოთამაშეებს რომ დაუპირისპირდეს? შეგახსენებთ, რომ რეგიონში მთავარი მოთამაშეები არიან რუსეთი, თურქეთი და ირანი. თითოეული შესაძლო კონფლიქტის უკან დადგება ამ მოთამაშეთაგან ერთ-ერთი თავისი სამხედრო ძალით. ჰიპოთეტურადაც კი რომელ მათგანს შეიძლება დავუპირისპირდეთ? მოვიყვან მაგალითს. ბოლო წლებში აზერბაიჯანმა შექმნა შესანიშნავად აღჭურვილი ძლიერი არმია, რომელშიც მილიარდობით დოლარი ჩაიდო. აზერბაიჯანელმა სამხედროებმა გათვალეს, რომ ყარაბაღის დასაბრუნებლად მათ 4 დღე დასჭირდებოდათ. მაგრამ, როგორც კი დაიწყო საომარი მოქმედებები, მოსკოვიდან ალიევს უთხრეს, რომ ეს აზერბაიჯანისთვის მძიმე შედეგებს გამოიწვევდა. სამხედრო მოქმედებები მყისვე შეწყდა.

*(გაგრძელება მე-8 გვერდზე)*

# საქართველოს ახალგაზრდებს, სტუდენტებს!

ჩვენ, მივესალმებით ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც ტრადიციულად სამშობლოს სიყვარულით აღსავსე მშობლებმა აღზარდეს და არ უღალატიათ თავიანთი მამა-პაპათა ტრადიციებისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ქართველები საქართველოშიც მცირედნი არიან და საზღვარგარეთაც.

ღმერთმა გვიმრავლოს ერთგულნი!

24 წელია საქართველოს მასონური ამერიკა, მასონური ევროპა მართავს, ამ ე.წ. მთავრობებმა მასონ სატანა და ტირანი შევარდნაძის ხუნტამ, მასონ ბნედიან სააკიანცის ბანდამ და სულგაყიდულმა მანიაკებმა გაწეწეს და გაყიდეს საქართველო. ხალხი სულს ღაფავს სიღარიბისაგან. საქართველოს სინამდვილეში 35 წლის ასაკამდე ახალგაზრდების თაობა სამშობლოსთვის უკვე დაკარგულია. საქართველოში სუფევს სიბილწე, გარყვნილება, ამორალობა.

ჰეი, ჩვენო მოტყუებულო ახალგაზრდებო, გამოფხიზლდით, თორემ მომავლის საქართველო იქნება განწირული, გადაგვარებული და გადაქართველებული.

9 მაისი დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღეა, ჩვენმა დიდმა ბაბუებმა და ბებიებმა თავი გასწირეს ამ ომში, არცერთი ახალგაზრდა არ დასწრებიხართ გამარჯვების აღლუმს, არც თბილისში, არც გურჯაანში, გარდა გორისა. სამწუხაროდ, თქვენ, არ გცალიათ ასეთი ღირსშესანიშნავი ღონისძიებებისთვის. ტელევიზიებში გარყვნილი შოუებისთვის, ღამის ბარებისთვის ხომ იცლით? ან, საიდან უნდა იცოდეთ 9 მაისის მნიშვნელობა? თქვენ ხომ, საქართველოს ისტორია არ გისწავლიათ, არც არავის უსწავლებია სიმართლე. დღედაღამე უსხედხართ კომპიუტერს და ერთობით.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, აღლუმი ჩატარდა სირიაში. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ, როგორც რუსი ჯარისკაცების სიმამაცით, ასევე ქართველი მებრძოლებით. ვუყურებდით აღლუმს და ცრემლებს ვერ ვიკავებდით, როგორ ამაყად იდგნენ რუსი ჯარისკაცების გვერდით ჩვენი ქართველი მებრძოლები, რა ლამაზები და მამაცები!!!

ნეტარ ხართ, თქვენ ბიჭებო და გოგონებო!.. რამეთუ, თქვენ ხართ დევნილნი სამშობლოდან სიმართლისათვის! თქვენ გაუძელით ჯოჯოხეთურ წამებას, შეურაცხყოფას და ტკივილებს! თქვენ არ დათმეთ თქვენი პოზიციები, თქვენ არ წახვედით ზნეობრივ კომპრომისებზე! თქვენ არ გაიყიდეთ, ემსახურებოდით და ემსახურებით სამშობლოს, რომელსაც საქართველო ჰქვია სახელად, რომლის ბედიც დაკავშირებულია სირიაში მიმდინარე მოვლენებთან. სირიის გამარჯვება ხომ პროგრესული მსოფლიოს გამარჯვებაა!

გასულ წელს აშშ-ი, ნიუ-იორკში, ბრუკლინში, კონი-აილენდის ქუჩაზე, ოკეანის სანაპიროსთან ჩავატარეთ 9 მაისთან დაკავშირებით აღლუმი: ქართველებმა, რუსებმა, აზერბაიჯანელებმა და შუააზიელებმა, ჩვენ ახალგაზრდებს ყველა მანქანაზე გვქონდა დამაგრებული ჩვენი ეროვნული დროშები, ჩვენი კანონიერი ხელისუფლების და ჩვენი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დროშა. ის იყო, აღლუმი უნდა გასრულებულიყო, რომ შემოვარდნენ **"დემოკრატიული"** ამერიკის პოლიციელები და დაგვშალეს.

წელს 9 მაისს, დილიდან გადაკეტეს კონი-ალენდის ქუჩა, მთელი დღის განმავლობაში ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, შუააზიელები დაჰქროდნენ მთელს ბრუკლინში დროშებით და ასე გამოხატავდნენ პროტესტს მასონური ამერიკის მიმართ. გვიან, 7 საათისთვის, როცა ეგონათ რომ აღარ მოხერხდებოდა 9 მაისის აღნიშვნა, პოლიციელებმა ქუჩა გახსნეს. მაინც, აღინიშნა გამარჯვების დღე, მაინც კმაყოფილი დარჩა, ყველა მონაწილე და დამსწრე საზოგადოებაც.

ძალიან გავიხარეთ, როცა კომპიუტერით ვნახეთ გორში 9 მაისის აღნიშვნა. დიდი მადლობა მათ!

თქვენ კი, ქართველო ახალგაზრდებო, სტუდენტებო, თუ დროულად არ მოეგებით გონს, თქვენი ფეხით შეხვალთ საქართველოს ისტორიაში სამშობლოს მოღალატეებად!

საქართველოში ფიზიკური, ზნეობრივი დაცემის ათვლის წერტილი 1992 წლის 6 იანვრიდან დაიწყო. დაიწყო ქართველთა რეპრესიებით, მიტინგების ჩაცხრილვით, დაპატიმრებით, წამებით, ტერორით, ჩვენ ვერ ვეგუებოდით კანონიერი, ეროვნული, ხელისუფლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით დამხობას. ქართველის მიერ ქართველის მოკვდინებას და დევნას. 1994 წელს რამდენიმე ახალგაზრდა იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა სამშობლო დროებით. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს სირიაში მებრძოლ ქართველებთან, ხშირად გვიხდება შეხვედრა ნეიტრალურ ტერიტორიაზე.

ღმერთი გფარავდეთ, ქართველო ახალგაზრდებო! ღმერთი ჰფარავდეს ჩვენს სამშობლოს!

**ლევან ჯავახიშვილი, დავით ბროძელი, ნაილი ონიანი, ანა სვანიძე, გიორგი სვანიძე, ლაშა ფირცხალავა, ემზარ ბუკია, ლელა ჩქარეული, ზეზვა ქურხული, გიგა ზანგური**

**ნიუ-იორკი**

# განხეთქილების ტელევიზია

დასრულდა "რუსთავი 2"-ან დაკავშირებული დავის მორიგი რაუნდი; თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ტელეკომპანია ქიბარ ხალვაშს უნდა დაუბრუნდეს. შემდეგი (და ბოლო) გაჩერება უზენაესი სასამართლოა. პროცესი კულმინაციას უახლოვდება და დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს.

ამ თემის ანალიზი და მოდელირება საკმაოდ საინტერესოა, თუმცა ყველა სცენარი, რომლებსაც ქვემოთ შევეხებით, რეალიზებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) განხილვა უზენაეს სასამართლოში არაფერს შეცვლის;

ბ) საკონსტიტუციო სასამართლო ვერ მოახერხებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ხალვაშისთვის წილების დაბრუნებას დაბლოკავს.

თუ ამ ორი პუნქტიდან ერთ-ერთი მაინც არ შესრულდება, პროცესი საწყის წერტილს დაუბრუნდება და პრაქტიკულად ყველაფერი თავიდან დაიწყება. საზოგადოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ამ მოვლენებში, მისი ხელმძღვანელობისა და იუსტიციის მინისტრის დაპირისპირება, სასამართლო სისტემაში ყოფილი თუ ამჟამინდელი ხელისუფლების გავლენის პროეცირების თავისებურებები ცალკე და ძალზე საინტერესო თემაა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე, ალბათ, ამ საქმის სავარაუდო პოლიტიკური შედეგია.

აშშ-ის ელჩის – იან კელის განცხადებას იმის თაობაზე, რომ წინასარჩევნოდ "რუსთავი 2"-ის მენეჯმენტის შეცვლა ძალიან არასასურველად მიაჩნია, საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების ანალოგიური შინაარსის კომენტარები მოჰყვა. "არჩევნებამდე "რუსთავი 2" თუ შეჩერდა ან შეცვალა მაუწყებლობა, ეს იქნება დღევანდელი მთავრობის, დღევანდელი ხელისუფლების საწინააღმდეგო ნაბიჯი",– განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა (სააგენტო "პირველი"). პრეზიდენტის პრესსპიკერ ეკა მიშველაძის თქმით, "პრეზიდენტის ყველა შეხვედრაზე სტრასბურგსა და ბრიუსელში "რუსთავი 2"-ის თემა ინტერესის საგანი იყო. პრეზიდენტი თვლის, რომ ის, რაც ხდება "რუსთავი 2"-ის გარშემო, ამძაფრებს კითხვის ნიშნებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. პრეზიდენტის აზრით, არჩევნებამდე "რუსთავი 2"-ის მფლობელთა შეცვლა დამაზიანებელი იქნება როგორც საარჩევნო გარემოს, ასევე არჩევნების პროცესის შეფასების თვალსაზრისით" ("გურიანიუსი"). რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ის კიდევ უფრო შორს წავიდა: "იქნებ ისე მოხდეს, რომ სასამართლო პროცესის დანიშვნა არ მოესწროს (არჩევნებამდე – ავტ.)... თუ მოესწრება... მე პირადად გარანტად დავუდგებოდი ხალვაში იქნებოდა თუ დვალი, თუ ორივე ერთად, და ვთხოვდი, ფინანსურად თუ რაიმე ზარალს ნახავენ, პირადად ავუნაზღაურებდი. თუ მოხდა, რომ სასამართლო უფრო ადრე და მათ სასარგებლოდ დასრულდა, არ შეეხონ გვარამიას და მენეჯმენტს და საფასურად ჩემგან მოითხოვონ, რაც უნდათ" (ინტერპრესნიუსი).

შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხზე კონსენსუსი შედგა, ნაკლებად სავარაუდოა, ქიბარ ხალვაშმა ყოველივე ზემოთქმული არ გაითვალისწინოს და იურიდიული პროცედურების დასრულების შემდეგ (თუ მოესწრება და ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც მას სურს) ტელეკომპანიას დაუყოვნებლივ მიადგეს. ამას, სავარაუდოდ, მხოლოდ მას შემდეგ გააკეთებს, როცა არა მხოლოდ არჩევნები, არამედ პოსტსაარჩევნო შფოთვაც დასრულდება, თუმცა იმაზე ადრე, ვიდრე აქტუალური გახდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პრობლემატიკა. აქედან გამომდინარე, ცვლილებები "რუსთავი 2"-ში შეიძლება საახალწლო არდადეგების პერიოდში მოხდეს (პლუს-მინუს ერთი თვე).

ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, უბრალოდ, ამერიკელების ნების რეტრანსლირება მოახდინა და დაემორჩილა მას, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოების აღნიშვნა. "ნაციონალური მოძრაობა", რამდენიმე თვეა, დაუცხრომლად ამტკიცებს, რომ ივანიშვილის მთავარ მიზანს წინასაარჩევნოდ ოპოზიციისთვის აზრის გამოთქმის შესაძლებლობის წართმევა და კრიტიკული სიუჟეტების დაბლოკვა წარმოადგენს. მენეჯმენტის შეცვლა არჩევნებამდე ამ მოსაზრებას გაამყარებდა და, რაც მთავარია, მისცემდა ნაციონალებს შესაძლებლობას, ორი "სამაიდნო" თემა გაეერთიანებინათ:

ა) არჩევნების გაყალბება;

ბ) "რუსთავი 2"-ის დაცვა.

ეს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საკითხია; ხელისუფლებიდან წასვლის მომენტიდან დღემდე სააკაშვილის ჯგუფი მუდამ ეძებდა თემას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა, სხვა პარტიებთან და არასამთავრობოებთან ეთანამშრომლათ, რათა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ივანიშვილის პოლიტიკის წინააღმდეგ გაერთიანებული ფართო ფრონტის არსებობის შთაბეჭდილება შეექმნათ. ისინი ცდილობდნენ, გამაერთიანებელ იდეად პროდასავლური კურსის დაცვა, აგრეთვე, სხვადასხვა სიტუაციურ კრიზისზე რეაგირება გამოეყენებინათ, მაგრამ ამაოდ – ანგარიშგასაწევი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამას ერიდებოდნენ ისე, თითქოს ნაციონალები კეთროვნები ყოფილიყვნენ.

"რუსთავი 2"-თან დაკავშირებული მოვლენები აღმოჩნდა პირველი თემა, რომელთანაც სხვა ძალები "ნაცმოძრაობის" ახლოს ყოფნაზე ნერვიულად აღარ რეაგირებდნენ. ძნელი სათქმელია, ვინ დაუდგება გვერდით "ნაცმოძრაობას", აშკარა სატელიტების გარდა, თუ ის არჩევნების გაყალბებაზე ყვირილს დაიწყებს და ამ ნიადაგზე "მაიდნის" აგორებას შეეცდება. მსგავსი მხარდაჭერა უკანდახევას და თამაშიდან გასვლას ნაკლებად ითვალისწინებს და ამა თუ იმ პარტიის ლიდერების ბედს "ნაცმოძრაობის" სცენარის რეალიზებას დაუკავშირებს. ასეთი რისკისთვის ყველა როდია მზად.

სულ სხვა საქმეა "რუსთავი 2"-ის მხარდაჭერა, სხვადასხვა პარტიის ლიდერები ამაზე იოლად თანხმდებიან, თავისუფალი სიტყვის დაცვის აუცილებლობაზე საუბრობენ და, შესაძლოა, ვარაუდობენ, რომ ამის სანაცვლოდ გარკვეულ "სატელევიზიო ბონუსებს" მიიღებენ (წინასაარჩევნო პერიოდში ეს განსაკუთრებით აქტუალურია). არჩევნების შედეგების გაყალბებისა და "რუსთავი2"-ის დაცვის თემების გაერთიანება ერთი საპროტესტო მოძრაობის ქოლგის ქვეშ "ნაცმოძრაობას", ასე თუ ისე, წარმომადგენლობითი ოპოზიციური ფრონტის ფორმირების შესაძლებლობას მისცემს, რომელიც "მაიდნის" წარმატებისთვის ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) აუცილებელი წინაპირობაა.

თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ შემდეგი: "ნაცმოძრაობისთვის" სასურველია, რომ მისი პოსტსაარჩევნო პროტესტი და "რუსთავი 2"-თან დაკავშირებული კრიზისის კულმინაცია ერთმანეთს დაემთხვეს ან, როგორც მინიმუმი, ერთმანეთისგან დიდად დაშორებული არ იყოს. ივანიშვილის ხელისუფლებას კი, სავარაუდოდ, ხელს აძლევს, რომ ეს ორი თემა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს. მისთვის, დიდი ალბათობით, სასურველია, რომ "რუსთავი 2-ის" ხალვაშის კონტროლს ქვეშ გადასვლა (სოცქსელებში გაჩნდა ახალი სიტყვა– "ქიბარიზაცია") მხოლოდ მას შემდეგ მოხდეს, რაც პოსტსაარჩევნო კრიზისი დაიძლევა, ხოლო "ნაცმოძრაობის" რესურსები მეტწილად ამოიწურება. ამ შემთხვევაში დრო უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ფაქტორის როლს ასრულებს. შესაძლოა, ეს გაცილებით სერიოზული პრობლემაა ივანიშვილისთვის, ვიდრე ნეგატიური ეფექტი, რომელსაც "რუსთავი 2"-ში "გვარამიას ეპოქის" გახანგრძლივება ან ოპონენტების მიერ 2003-ში აპრობირებული სქემების გამოყენების მცდელობა მოუტანს.

ხელისუფლებას უჭირს უცხოელი პარტნიორებისთვის იმის დამტკიცება, რომ ის დისტანცირებულია სასამართლო პროცესისგან და საქმე მხოლოდ ყოფილი და ამჟამინდელი მფლობელების ქონებრივ დავას ეხება. დღეს ის ჯერ კიდევ 2011-ში დაშვებული შეცდომის შედეგებს იმკის. პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ბიძინა ივანიშვილი "რუსთავი-2"-თან დაუსრულებელ პოლემიკაშია ჩაბმული. ის იმთავითვე აკრიტიკებდა სიუჟეტებს, წამყვანების ცალკეულ მოსაზრებებს თუ სარედაქციო პოლიტიკას მთლიანად და ტელეკომპანიას სააკაშვილის რეჟიმის რუპორად წარმოაჩენდა. ყოველივე ეს ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც საკმაოდ ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდა და საბოლოოდ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ცხარე კამათი "რუსთავი 2"-თან ივანიშვილისთვის იდეა-ფიქსს წარმოადგენს. როდესაც ქიბარ ხალვაშმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ტელეკომპანიის დაბრუნება მოითხოვა სავსებით ნეიტრალურ უცხოელ დამკვირვებლებსაც კი (სააკაშვილის გულშემატკივრებზე რომ არაფერი ვთქვათ) ბუნებრივად გაუჩნდა ეჭვი, რომ ამის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას. თავის დროზე ემოციები რომ მოეთოკა, დღეს ხელისუფლება თავს, სავარაუდოდ, გაცილებით მშვიდად იგრძნობდა.

აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება კიდევ ერთ მომენტზე – XXI საუკუნეში ქვეყნის თუნდაც ყველა ტელეკომპანიის კონტროლი საზოგადოებრივი აზრის კონტროლს არ ნიშნავს. ეს არ ესმოდა სააკაშვილს, რაც მისი რეჟიმის კრახის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა გახდა. თუ ივანიშვილს ან მისი გარემოცვის წევრთ მიაჩნიათ, რომ მათთვის პრიორიტეტულია "რუსთავი 2"-ის მენეჯმენტის შეცვლა და არა იმ ტექნოლოგიების დაუფლება, რომლებიც საზოგადოებრივ აზრზე შედეგიანი არაპირდაპირი გავლენის შესაძლებლობას მისცემს, ეს ფატალური შეცდომაა.

ტროას ომზე შეთხზული მითებიდან ერთ-ერთის ინტერპრეტაციის თანახმად, რომელიც სტესიქორეს ეკუთვნის, ღმერთებმა მშვენიერი ელენე ეგვიპტეში გახიზნეს, ხოლო ტროაში მისი აჩრდილი გაემგზავრა. სწორედ მას ხედავდნენ ომის მონაწილეები და ამ აჩრდილის გულისთვის იხოცებოდნენ. "რუსთავი 2"-თან დაკავშირებულ საქმეში მხარეები კონტროლისთვის იბრძვიან (და, შესაძლოა, არა იმდენად ტელეკომპანიისთვის, რამდენადაც მისი აუდიტორიისთვის), თუმცა გამორიცხული არ არის, რომ სინამდვილეში მთავარი პრიზი მხოლოდ კონტროლის ილუზიაა, აჩრდილი, რომელზეც არაგონივრულია ამდენი რესურსის დახარჯვა.

ცხადია, თქმული არ ნიშნავს, რომ სააკაშვილის რეჟიმის ყველა დანაშაული გამოძიებული არ უნდა იქნას ან ქონება კანონიერ მფლობელებს არ დაუბრუნდეს, მაგრამ, თუ ხელისუფლებაში ვინმეს ჰგონია, რომ "რუსთავი 2"-ის დაკარგვა "ნაცმოძრაობას" მნიშვნელოვნად დაასუსტებს (ან მთავრობის მდგომარეობას გააუმჯობესებს), სავარაუდოდ, ცდება. არსებობს სხვა საშუალებები და მათი გამოყენებით შესაძლებელია იმ ერთიანი საინფორმაციო და ფსიქოლოგიური სივრცის შედუღაბება, რომლებიც სააკაშვილის მიმდევრებს ერთმანეთთან აკავშირებს, თანაც ისე მჭიდროდ, რომ მათ ხშირად ტოტალიტარული სექტის წევრებს ადარებენ. ამ ერთიანობის დარღვევის ერთადერთი გზა – ტოტალური დენაციფიკაციაა, რომლის გარეშე თვალები არავის აეხილება. ეს ძალზე მტკივნეული პროცესია, მაგრამ მის გარეშე საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ისევ პარალულურ რეალობაში, ერთგვარ "მატრიცაში" იცხოვრებს, ხოლო მათი ლიდერები გამოიყენებენ დემოკრატიულ გარემოს, რათა კაცთმოძულე ავტორიტარული რეჟიმი აღადგინონ. ამ ძირეული ცვლილებების გარეშე არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვის დარჩება "რუსთავი 2", "სამტრედია 3" თუ "ჩხოროწყუ 4", მაგრამ ხელისუფლება ამ ცვლილებისთვის, სავარაუდოდ, მზად არ არის. მან დენაციფიკაციასა და ბოროტებისგან გამიჯვნას მასთან თანაარსებობა არჩია.

**დიმიტრი მონიავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაკომპეტენტურობა თუ სიბრიყვე?

ხელისუფლების ნებისმიერი რგოლის არჩევნების მოახლოებისთანავე იზრდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ტემპერატურა, იბადებიან სატელიტური პარტიები, ყველა პარტიას, პოლიტიკოსს თუ პოლიტიკოსობის მსურველს სწორედ მაშინ გაახსენდებათ ხალხი, შეჭირვებული და მიუსაფარი ადამიანები, სწორედ მაშინ ხდებიან საოცრად გულჩვილნი, სწორედ მაშინ ახერხებენ თვალთაგან ცრემლთა დენას და თავს უსირცხვილოდ ასაღებენ მამულისთვის თავდადებულ პატრიოტებად.

ხალხისათვის წამებულთა მოჩვენებითი გვირგვინით თავდამშვიდებულთაგან ბოლო არ უჩანს ზღაპრული დაპირებების კორიანტელს.

დიდი ხნის წინ მოხუცმა დედამ ერთხელ ასეთი იგავი მიამბო: ღარიბ გლეხს ქათამი დაეკარგა, რაც ოჯახისთვის დიდი დანაკლისი იყო. ეძიეს, ეძიეს, მაგრამ ქათამს ვერ მიაგნეს. ნაშუადღევს ბავშვმა მიირბინა და აღფრთოვანებულმა უთხრა:

– დედიკო, დედიკო, ჩვენი ქათამი ვნახე!

– სად, შვილო? – გაუხარდა დედას.

– იქ, ტყის ნაპირას ქათამს ორი ტურა ექაჩებოდა. ერთი – თავისკენ, ხოლო მეორე – ჩვენსკენ!

– არა, შვილო, ჩვენთვის არცერთი არ ზრუნავდა, ორთავე თავისკენ მიითრევდა ნადავლსო! – მოუგო დედამ.

საუბედუროდ, ასე მეჩვენება დღესაც – ვფიქრობ, პარტიათა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა ხალხისათვის კი არა, თავიანთი თავისთვის ზრუნავენ.

ეს ჭეშმარიტება ბევრჯერ მწარედ ვიწვნიეთ ჩვენ, რიგითმა ადამიანებმა.

წინა ხელისუფლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმედები გაგვიცრუა **"ქართულმა ოცნებამ".** როგორც კი ისინი ხელისუფლების სავარძლებში მოკალათდნენ, მაშინვე დაივიწყეს ხალხი. ფაქტიურად შეუძლებელი გახდა მინისტრებთან მოქალაქეთა მიღება, პარლამენტის მაჟორიტარმა წევრებმა დაივიწყეს მისი ამომრჩევლები, მოქალაქეთა განცხადებებზე საერთოდ არ ხდებოდა რეაგირება. ანალოგიური და, შეიძლება ითქვას, უფრო ცუდი ვითარებაა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში.

ჩვენს რჩეულებს დაავიწყდათ, რომ ხელისუფლების ლეგიტიმურობას და ძალაუფლების რეალობას ხალხის მხარდაჭერა განსაზღვრავს მხოლოდ. დაავიწყდათ, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს და ისინი მხოლოდ ამომრჩეველთა მსახურნი არიან. ხელისუფლებამ ვერა და ვერ გააცნობიერა ის, რომ მათი საქმიანობის ძირითადი საფუძველი უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღებისას, ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის რეალიზაცია, მართვაში სამოქალაქო ჩართულობის სრულყოფა, გაწეული მუშაობის თაობაზე პერიოდულად ხალხისთვის ანგარიშის ჩაბარება.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებამ პრესის ფურცლებიდან კარგად იცის, რომ საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს საზოგადოებრივი გაერთიანება – სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში და მუშაობის ოცწლიანი გამოცდილება აქვს.

ეს საბჭო პირველი საზოგადოებრივი საბჭო იყო მაშინ საქართველოში და ის დღესაც ქუთაისშია განთავსებული.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობა ასახულია ორ მონოგრაფიაში: **"ხმად მღაღადებლისად..."** და **"საზოგადოება ძალი და ღონეა ქვეყნისა".** მოეწყო ორმოცდაათამდე სატელევიზიო გადაცემა ტელეკომპანია **"რიონში"**, სადაც შექმნილი გვაქვს საზოგადოებრივი-სატელევიზიო კლუბი **"ღია სამოქალაქო საზოგადოება"**, ასახულია მრავალ საგაზეთო სტატიაში.

საზოგადოებრივი საბჭო შეშფოთებულია საზოგადოებისა და ხალხისადმი ხელისუფლების სრული უყურადღებობით, საქმიანობაში არაკომპეტენტურობით, ხელისუფლების არაეროვნული სულისკვეთებით. შეშფოთებულია ჩვენი მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების დარგის მუშაკების, საზოგადო მოღვაწეების, პედაგოგების, სპეციალისტების თუ რიგითი ადამიანების ინერტულობით ხელისუფლების უნიათობასა და უყურადღებობასთან ბრძოლაში.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე ითქვას, რომ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა ბატონმა გივი ჭიჭინაძემ გასული წლის ივლისში მიიღო საბჭოს სრული შემადგენლობა. შედგა საკმაოდ შინაარსიანი, მრავალმხრივად საყურადღებო და უაღრესად სასარგებლო შეთანხმებები, დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გზები.

მიმდინარე წლის მარტის თვეში საზოგადოებრივი საბჭოს რეკომენდაციები და წინადადებები, რომელიც ეხებოდა იმერეთის ადმინისტრაციულ დანაყოფებში მუნიციპალიტეტების გამგეობების და ქალაქების მერიების საქმიანობას, განიხილეს იმერეთის გამგებელთა საკონსულტაციო თათბირზე.

მისასალმებელია, რომ ყველა მუნიციპალიტეტმა გამოთქვა მზადყოფნა კონტროლის საზოგადოებრივ საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო ადგილობრივ ხელისუფლებას სთავაზობდა ასეთ რეკომენდაციებს:

– საზოგადოებრივი აზრის უცილობელი გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღებისას, მუშაობაში მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

– ადგილებზე მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის სრულყოფა, განცხადებებსა და საჩივრებზე ობიექტური და დროული რეაგირება;

– საზოგადოებრივი მისაღების უცილობელი შექმნა ყველა ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში, რის გარეშეც შეუძლებელია ხელისუფლების დემოკრატიულობაზე საუბარი. დემოკრატიული პროცესების სრულყოფა და ხელისუფლების საქმიანობაზე სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელება;

– მართვაში სამოქალაქო ჩართულობის გაღრმავება და სრულყოფა;

– საბიუჯეტო თანხების განკარგვის კანონიერება და გამჭვირვალობა, სამსახურების პერსონალური შემადგენლობის ოპტიმალური დაკომპლექტება;

– ადამიანის უფლებების დაცვა;

– ხელისუფლების ანგარიშვალდებულება – პირველ ხელმძღვანელთა პერიოდული ანგარიში საზოგადოებას. ანგარიშის ჩაბარების ფორმები.

ცხადია, ესაა ის ელემენტარული მოთხოვნები, რომლის გარეშეც ხელისუფლება არაა რეალური და ვერ ჰპოვებს ხალხის მხარდაჭერას.

იმერეთის თორმეტი ადმინისტრაციული ერთეულიდან მხოლოდ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს ბოიკოტს თავის პასუხში (№01/7763; 05.04.2016წ.):

რაა ეს!.. არაკომპეტენტურობა, სიბრიყვე, შეცდომა თუ თავხედობა?

უფრო ადრე, 2016 წლის 21 მარტს ქუთაისის მერიას გადაეგზავნა კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის დადგენილება, სადაც ერთ-ერთი პუნქტი იყო ასეთი: **"დაისვას საკითხი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე პირველ სართულზე გამოყოს ერთი ოთახი ერთობლივი საზოგადოებრივი მისაღების მოსაწყობად, სადაც ყოველ მოქალაქეს საშუალება ექნება საშვის გარეშე მიიტანოს განცხადება, გაიგოს რეაგირების შედეგები, მიიღოს იურიდიული კონსულტაცია და სხვა".**

მოგვწერეს პასუხი (მომართვა №01/6646; 23.03.2016წ.), რომელშიც გვიცხადებენ, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ გადასარევად, თქვენ კი არაფრად გვჭირდებითო!

ნუთუ ბატონი ზვიადი ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან მერიის კანცელარიას და საზოგადოებრივ მისაღებს, სადაც მოქალაქეებს დაეხმარებიან ბიუროკრატიასთან ბრძოლაში, გამოავლენენ არაობიექტური და დაგვიანებული რეაგირების, უყურადღებობის ფაქტებს, ამხელენ უგულო ჩინოვნიკებს.

ისიც საკითხავია, მერიის კანცელარიაში უფრო პროფესიონალები არიან, თუ კონტროლის საზოგადოებრივ საბჭოში, სადაც არიან მეცნიერების დოქტორები, დამსახურებული ჟურნალისტები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, იურისტები, ქუთაისის საპატიო მოქალაქეები.

საზოგადოებრივმა საბჭომ საზოგადოებრივი მისაღების შექმნის თაობაზე ქუთაისის მერიას 2015 წელსაც მიმართა. მაშინ უფრო **"შინაარსიანი"** პასუხი მივიღეთ (მომართვა №01/8640; 23.10.2016წ.) – სათანადო სათავსო რომც მოგცეთ, მუშაობა უეჭველად ჩაგეშლებათო!

ღმერთმა ააშენა მაგათი ოჯახი, ჩვენი თხოვნა რომ არ დააკმაყოფილეს, თორემ ხომ გადავეყრებოდით ათას **"უბედურებას".**

ისმის კითხვა, რაა ეს, არაკომპეტენტურობა თუ ცინიზმი? იქნებ გვეხუმრებიან და ამიტომაც ეს პასუხი გადმოუგზავნეს არა კონტროლის საზოგადოებრივ საბჭოს, არამედ იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნულ აკადემიას (?!).

**"პუნქტუალობის"** შესანიშნავი მაგალითია, ღმერთმანი!

არადა, ბატონი ზვიად ჯავახია ის ადამიანია, რომელმაც ქუთაისის მერის ნაცვლად ორჯერ მიიღო მონაწილეობა კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობაში, რასაც საბჭო დადებითად აფასებდა და დღესაც აფასებს.

ვიფიქრეთ, იქნებ ბატონი ზვიად ჯავახია არ წყალობს საზოგადოებრივ საბჭოს და ქალაქის მერმა გვიშველოს-თქო! ამიტომ მიმდინარე წლის თებერვლის თვის პირველ რიცხვებში მერის მრჩევლების მამუკა ჭონიშვილის, ოთარ ჩიხლაძის და თვით ზვიად ჯავახიას მეშვეობით ვთხოვეთ ქალაქის მერს მიეღო კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო, რისი სურვილიც მას მერად არჩევის დღიდან არასდროს გასჩენია.

გვაცნობეს, ამ დღეებში მერს **"არ სცალია"** და მერე მიგიღებთო.

მას შემდეგ თვეები გავიდა, მაგრამ ქალაქის მერმა შოთა მურღულიამ საზოგადოებრივი საბჭოს წევრებთან შეხვედრის დრო ვერ **"გამონახა"** (?!).

ვფიქრობ, მერის ეს განწყობა არის საფუძველი და მიზეზი ჩვენთვის გამოგზავნილი ყველა უარყოფითი პასუხისა და უყურადღებობისა.

ზემოაღნიშნულის ფონზე ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგი იქნება, რიგითმა მოქალაქემ რომ სთხოვოს მერს პირისპირ შეხვედრა.

ამ დღეებში გამოქვეყნდა აშკარად არჩევნებისათვის განკუთვნილი მერიის გაზეთი **"ანგარიში ხალხს".** კარგია, რომ გაზეთი საუკეთესო ქაღალდზეა დაბეჭდილი, ფერადია, მაგრამ იმ საკითხებზე, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ, არაფერია ნათქვამი. არ ვაკნინებ სამეურნეო საკითხების მნიშვნელობას, მაგრამ პოლიტიკოსის ან ქალაქის თვითმმართველობის ანგარიში უხერხულია ე.წ. **"ზავხოზის"** მოხსენებას ჰგავდეს.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქალაქის თვითმმართველობაში ვერ აცნობიერებენ იმას, რომ საზოგადოება ძალი და ღონეა ქვეყნისა.

ამ სულისკვეთების გამომხატველია თუნდაც მერიასთან არსებული პატივგების კომისია, რომელიც ანიჭებს ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდებას, იღებს გადაწყვეტილებას ქუჩებისათვის სახელის დარქმევისა და მემორიალური დაფების გაკეთების შესახებ.

ამ კომისიის თავმჯდომარე თავად ქალაქის მერი შოთა მურღულიაა. კომისიაში, რომელიც თერთმეტი კაცისაგან შედგება, კიდევ არის მერიის სამსახურების ორი უფროსი. არადა, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს ქალაქის საზოგადოება უნდა ირჩევდეს. შესაბამისად, პატივგების კომისია უნდა იყოს საზოგადოებრივი, რომელშიც არცერთი წევრი არ უნდა იყოს მერიის თანამშრომელი.

პატივგების საზოგადოებრივი კომისიის წარდგინებით ქალაქის მერი ბრძანებით უნდა ანიჭებდეს წარდგენილ კანდიდატურას ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდებას, ან შეიძლება მოითხოვოს კომისიაზე კანდიდატურის ხელახლა განხილვა.

ახლა რა ხდება! საპატიო მოქალაქეს თავად შეარჩევს მერი პატივგების კომისიაზე და მერე თავად ანიჭებს საპატიო მოქალაქის წოდებას, წარადგენს რა მას საკრებულოს სხდომაზე.

უხერხულია, ხელისუფალი თვითონ არჩევდეს საპატიო მოქალაქის მისანიჭებლად კანდიდატურას, რადგან ამას აშკარად პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს!

საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება კი ძნელდება პატივგების კომისიაში.

კომისიის წესდებას ვცვლითო, ამბობენ და ორი წელია არცერთი ქუთაისელი მოქალაქისათვის არ მიუნიჭებიათ საპატიო მოქალაქის წოდება, თუმცა ამ მიზეზმა მერს ხელი არ შეუშალა საპატიო წოდება მიენიჭებინათ ქუთაისის სტუმრებისათვის, ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანებისათვის, მაგრამ წესი ყველასათვის არ უნდა იყოს წესი?

მიუხედავად არაერთგზის წარდგინებისა, ერთ წელზე მეტია ამის ღირსი არ გახადეს ლეგენდარული **"ხუტა უფროსი"** – მსახიობი გოვენ ჭეიშვილი და იუმორის ჭეშმარიტი რაინდი, გაზეთ **"სარკმელი საქართველოს"** იუმორის განყოფილების ხელმძღვანელი ვაჟა ჭყონია.

2016 წლის 29 იანვარს პატივგების კომისიაში წარვადგინეთ მიმართვა (№7/647), რომელიც რეგისტრირებულია მერიაში ნომრით 2349/01; 29.01.2016; მიმართვა შეიცავდა რამდენიმე წინადადებას. მათ შორის, ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისათვის გამოჩენილი ქართველი პოეტის ზურაბ კუხიანიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

მოვიტანთ საოცარი უყურადღებობის კიდევ ორ მაგალითს:

2014 წლის 10 დეკემბერი. იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნულმა აკადემიამ ქუთაისის მერს შოთა მურღულიას და საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დვალს წარუდგინა პროექტი (მიმართვა №42; საკრებულოში რეგისტირებულია ნომრით №მ-1286) **"იპოლიტე ხვიჩიას სახელის უკვდავყოფის ღონისძიებათა შესახებ".**

პასუხმა რომ დააგვიანა, ტელეფონით მოვიკითხეთ შედეგი. საკრებულოს წევრმა ქალბატონმა ირმა პეტრიაშვილმა გვითხრა, რომ პროექტი დაეწერა მას, განიხილეს შესაბამის კომისიაზე, მოიწონეს და გადაეგზავნა მერიას 2015 წლის ბიუჯეტში ფინანსების გასათვალისწინებლადო.

ამ მასალას მერიაში ვერ მიაგნეს.

იმედგაცრუებულებმა 2015 წლის 16 მარტს კვლავ მივმართეთ მერიას და საკრებულოს (მიმართვა №045; მერიაში რეგისტრაციის №01-1570; საკრებულოში – №მ–100). გავიმეორეთ იგივე პროექტის ყველა მუხლი.

დღემდე პასუხი არავის გაუცია და არც იციან ეს პროექტი სად გაიბნა (?!)

ქართული იუმორის ჭეშმარიტ ქალაქ ქუთაისში შეიძლება არ იყოს დაწესებული ქართული იუმორის დღე?

ჰოდა, 2015 წლის 1 აპრილს ქუთაისის ცენტრალურ ბაღში გაიმართა ქუთაისის საზოგადოების ხალხმრავალი შეკრება, რომელმაც დაადგინა, რომ ქართული იუმორის დღედ ქუთაისში დაწესებულიყო პირველი აპრილი.

ქუთაისის საკრებულოში გადავაგზავნეთ დადგენილების პროექტიც (მიმართვა №049, 2015 წლის 19 აპრილი). პასუხს რომ ვერ ვეღირსეთ, 2015 წლის 7 მაისს იგივე მიმართვა ხელახლა გადავუგზავნეთ ქალაქის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს.

პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

ასეთი ვითარებით აღშფოთებულებმა უყურადღებოდ დატოვებული ყველა მიმართვის ნუსხა 2015 წლის 31 ივლისს გადავუგზავნეთ ქალაქის მერს შოთა მურღულიას და საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დვალს (მიმართვა №063; მერიაში რეგისტრირებულია ნომრით №5374/01; საკრებულოში – №429/02).

რეაგირების არავითარი ნიშანი.

იგივე ნუსხა რეაგირებისთვის 2015 წლის 3 დეკემბერს (მიმართვა №064; საკრებულოში რეგისტრირებულია ნომრით №1095/02) კვლავ გადაეგზავნა ქუთაისის მერს შოთა მურღულიას და საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ნიკოლოზ ლატარიას.

**არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!**

ვფიქრობ საკმარისია!

ქუთაისის თვითმმართველობაში არავის აინტერესებს არც საზოგადოებრივი აზრი, არც საზოგადოება, არც მართვაში სამოქალაქო ჩართულობა და არც საზოგადოების წინაშე თვლიან თავს ანგარიშვალდებულად.

საზოგადოებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ გამოაცალა **"ქართულ ოცნებას"** რეალური ძალაუფლება — ხალხის მხარდაჭერა და ახლა თვითონ ცხოვრობენ ფუჭი იმედებით.

როცა კარდაკარ დადიოდნენ **"ქოცები"** და ხმის მიცემას გვთხოვდნენ, ვენდეთ, ავირჩიეთ და მერე დაგვივიწყეს!

ახლა, ამ არჩევნებისას, ანუ მეორედ მოსვლისას, **"ქოცებს"** და ბევრ სხვასაც, კვლავ შევუყვარდებით, მაგრამ ჩვენ უკვე მათ ვერ ვენდობით.

...ხალხი მხარს დაუჭერს მხოლოდ ეროვნული ინტერესებისათვის თავგადადებულ ჭეშმარიტ მამულიშვილებს.

თუ ეს არ მოხდა, მაშინ ისეთ ჩიხში აღმოვჩნდებით, საიდანაც თავდაღწევის იმედს დღეს ვერ ვხედავ.

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ამ სტრიქონებს გულწრფელად, მაგრამ საშინელი გულისტკივილით და აუტანელი სულიერი შეშფოთებით ვწერ, მითუმეტეს, როცა ნათქვამი ეხება ჩემს მშობლიურ ქალაქს.

ახსოვდეს ყველას, ქვეყნის ძალი და ღონე არის არა გადამთიელთა, არამედ საკუთარი საზოგადოების მხარდაჭერა!

**ბენია თხილავა,**
**სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალისტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე**

# პარლამენტმა 2004-2012 წლებში, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხზე სპეციალური დადგენილება მიიღო



2004-2012 წლებში,წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხზე საქართველოს პარლამენტმა სპეციალური დადგენილება მიიღო. დადგენილებას დეპუტატებმა 81 ხმით ერთხმად დაუჭირეს მხარი.

7-გვერდიანი დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოამზადა,რომელიც კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის ანგარიშის საფუძველზე დაიწერა.

დადგენილების მიხედვით, საქართველოს პარლამენტი,ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი და შესწავლილი სამართლებრივი მასალებისა და დასკვნის საფუძველზე,წარსულში (2004-2012წწ) ჩადენილი წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს აძლევს შემდეგ სამართლებრივ შეფასებას:

ა) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოყენება ატარებდა საყოველთაო, სისტემურ ხასიათს;

ბ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოყენებას ჰქონდა ინტენსიური ხასიათი;

გ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოყენება სანქცირებული იყო მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ;

დ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოყენება ემსახურებოდა მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებას;

ე) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოყენება ემსახურებოდა ტოტალური შიშისა და დაუცველობის განცდის გაჩენას საზოგადოებაში;

ვ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წამება და არაადამიანური მოპყრობა იყო მავანთა პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტი;

ზ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მეთოდების გამოყენების თაობაზე მითითება ხშირ შემთხვევაში მომდინარეობდა პროკურატურის მხრიდან და ემსახურებოდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე სასურველი შედეგის მიღწევას;

თ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წამება და არაადამიანური მოპყრობა იყო ძალოვანი უწყებების ხელში სასურველი ჩვენების მიღების საშუალება,ქონებისა თუ წილების დათმობის მარტივი გზა და საპროცესო შეთანხმების დადების იძულების ეფექტურ მექანიზმი;

ი) პროკურატურა, როგორც სამართლებრივი დაცვის მექანიზმი,რომელსაც უნდა ჩაეტარებინა სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე,არ ფუნქციონირებდა;

კ) სასამართლო ხელისუფლება პროაქტიურად არ რეაგირებდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე;

ლ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი არ იყო ეფექტური წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოყენების გამოვლენისა და მათზე სათანადო რეაგირების კუთხით;

მ) ადვოკატები, ცალკეულ შემთხვევებში, არ ასაჩივრებდნენ მათი დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოყენების ფაქტებს;

ნ) ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები უარს ამბობდნენ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გაშუქებაზე.

”აღნიშნულიდან გამომდინარე,საქართველოს პარლამენტი ადგენს: საქართველოს კონსტიტუციის, წამებისა და სხვა სახის სასტიკი,არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის კონვენციის – წამების,არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს 1987 წლის კონვენციით გაცხადებული პრინციპების – შესაბამისად; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე 3 მუხლის შესაბამისად: საქართველომ უნდა უზრუნველყოს ადამიანის ღირსებისა და პატივის განუხრელი დაცვა,ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა; საქართველომ უნდა შეიტანოს კონტრიბუცია მთელი ცივილიზებული სამყაროს მიერ წამებისა და სხვა სახის სასტიკი,არაადამიანური ან ღირსების შემლახველ მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ გამოცხადებულ ბრძოლაში;

საქართველომ უნდა მიიღოს ქმედითი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო ან სხვა სახის ზომები, რათა თავიდან აიცილოს წამების აქტები მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე; საქართველოში უნდა იქნას უზრუნველყოფილი ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა,როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ფუნდამენტური პრინციპისა და სხვა უმთავრესი ღირებულებების საწყისის.

საქართველომ პატივი უნდა სცეს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი თითოეული ადამიანის თანასწორ და ხელშეუვალ უფლებებს,ვინაიდან ”ეს უფლებანი გამომდინარეობს ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი ღირსებიდან”. არანაირი სახის განსაკუთრებული გარემოება, იქნება ეს ომის მდგომარეობა ან ომის საფრთხე,შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა თუ ნებისმიერი სხვა სახის საგანგებო ვითარება, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წამების გასამართლებლად. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ყოველთვის უნდა იყოს გამოხატულად მკაცრი და შეურიგებელი ნებისმიერი ძალადობრივი დანაშაულის მიმართ, რომელიც მიმართული იქნება ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მთლიანობის,მისი პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. საქართველოს პარლამენტი იღებს ვალდებულებას,მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო ზომები ყველა სათანადო სამართლებრივი გარანტიის შესაქმნელად წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციის, მსგავსი ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და მსხვერპლთა სათანადო დაცვის მიზნით,ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად”,– ნათქვამია პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში.

პროექტს თან ახლავს პარლამენტის რეკომენდაციები მთავრობისადმი. ამასთან, განხილვის პროცესში დადგენილებას დაემატა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ აეკრძალოს საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება,ასევე პოლიტიკური თანამდებობის დაკავება იმ ადამიანებს, ვინც სასამართლოს მიერ დამნაშავედ არიან ან იქნებიან ცნობილი წამების დანაშაულებისათვის – ეს არის წამება, წამების მუქარა, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობა.

პარლამენტის სხდომის წამყვანმა მანანა კობახიძემ კოლეგებს მიულოცა, რომ მათ წინა ხელისუფლების რეჟიმის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება შესძლეს.

# პრეზიდენტი ერთ ადგილს ათამაშებს



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის საკითხზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ეხმაურება და სახელმწიფოსთვის დამაზიანებელს უწოდებს

როგორც ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა, ეკა მიშველაძემ განაცხადა, ამ გადაწყვეტილებას ჰყავს პასუხისმგებელი პირები.

**– „სახელმწიფოსთვის ასეთ დამაზიანებელ გადაწყვეტილებას ჰყავს პასუხისმგებელი პირები სამართალდამცავ და სასამართლო სისტემაში. პრეზიდენტი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ უნდა დადგეს ამ პირების სამსახურებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი“,**– განაცხადა ეკა მიშველაძემ.

ჯერ ის არ უპატიებია ამ არამზადისა და პოლიტიკური თაღლითისათვის ხალხს, რომ აშკარად გადაიხარა ნაციონალებისაკენ და თანაშემწედ პირწავარდნილი ნაციონალის მიშა მაჭავარიანის ძმა ვანო მაჭავარიანი დაიყენა, რომელიც ახლა უკვე უშიშროების მდივნის თანაშემწედ დანიშნა.

იმდენს იზამს ეგ წინდის მქსოველი არარაობა,რომ მისგან გაცუცურაკებული აღშფოთებული საზოგადოებაწიხლისკვრით გამოაგდებს ქართველი ერის სირცხვილად აღიარებული ავლაბრის რეზიდენციიდან და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებით ჩააბარებს ამ ინსტიტუციას ღირსეულ და პატრიოტ ადამიანს.

როგორც ჩანს,დასავლეთელი ლიბერასტების გულის მოგება უნდა ამ არაკაცს და ამიტომაც ქმნის შესაფერის პოლიტიკურ ამინდს საიმისოდ,რომ ამნისტიით გამოუშვას ციხიდან სისხლის სამართლის დამნაშავე ნაცმაცუნები! ალბათ ამ მიზნით მიიღო ნაციონალთა ერთ-ერთი მახინჯი და სულბოროტი ლიდერი გიგა ბოკერია და ფრიად საიდუმლო ვითარებაში ესაუბრა მას.

ქართული საზოგადოება კატეგორიულად აფრთხილებს ბატონ ბიძინა ივანიშვილს: ისევე მოგვაშოროს თავიდან სოროსის ძუძუნაწოვი პოლიტიკური არამზადა გიორგი მარგველაშვილი, როგორც **“შემოგვტენა”**,ვიდრე ამ **“სელის მბეჭველი”** არარაობის გველაძუობისა და გამყიდველური ქმედებების გამო სისხლი არ დაღვრილა საქართველოში!

მიზანშეწონილია, რომ დღეს სწორედ გიორგი მარგველაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, რადგან მის ქმედებებში აშკარად შეინიშნება მისი ამომრჩევლებისაგან განდგომა და ქართველი ერის ინტერესებისადმი ყოვლად გაუმართლებელი ღალატი!

პოეზიის კუთხე

## გიაშქვი დო გოფელეკე

ჯიმალეფი, ჯგირი რინა
ოკოლხეშა მალას მურსგ,
მისით ვაკო თეში რჩქინა
გამაღეთ□ ითამ ლურსგ...
გვიგვილ მალას გოპირანსგ,
ზეფირ გეპუნთ ეკე-ეკე...
გითმაჩამალ ქეშერხვადგნ
გიაშქვი დო გოფელეკე!..

## ქუაშ თუალა

“მა დობღურდა, ქუას უთუდასგ”...
შურ მერყებდას, ბღურუდე,
ვამოხვარდას მუთუ და
ვეკომიოლგ, ჩქიმ უკულ
უკულ ქუას უთუდას...

## ფარა იში

ვაუჯგუნო რჯოხოდასგ
ყაზახ ჯიმ დო ქობალიში,
ფარა იში, სახელ ვეში –
კოჩიშ ხეგოფაჩილიში...

## გომიძიცე, ოკოლხეში თუთა

გომიძიცე, ჯვეშებურო,
ოკოლხეში თუთა,
გეგნომივარჩხილე ლიხი,
აუადჰარა, ურთა...
უჩაზღუას ენორწკინ ნს
უკოროცხუ ქუა,
ქიგიშინი, ვორექ სქანი
კიდირიში სქუა...
ქიგიშინი, სოიშახ ონჭ დ
სქანი ველ დო გვალა,
დიოსკურს დო პიტიუნტის
თიშა ქიმეითვალა...
მუნაფეფი გეგნიფაჩი
ოკოლხეში თუთა,
ქავოსქიდათ ართ-მაჟიას
მა დო, სი დო ურთა...
ჩქინ ორთაშე, ამდღარიშო,
მაპალუნა მუთა,
გომიძიცე, გომიძიცე
ოკოლხეში თუთა...

რამაზ კუპრა

## გიხაროდეს

ფარაონო, შენი ბედის
თუ გენია დაგაცხრება,
ეს ხვედრია შემოქმედის,
გიხაროდეს დამარცხებაც.
დრო ხომ სულის სამჭედლოა,
არ ჩააქრო უნდა ბრძმედი.
გიხაროდეს, თუ კი დროა
პოეზიით რომ დაბრძენდი.
ავ სიტყვებს კი მოერიდე,
არ დაღალო ფუჭად ბაგე,
შენ მით ნექტარს უნდა ღვრიდე,
გიხაროდეს სიჭარმაგე.
შემეცნების შეხებისას
ბოროტება რომ დაცხრება,
მზის სინათლის შეხედვისას
გიხაროდეს დამარცხებაც.
და თუ შენთვის საღამოა,
გარდაიქცე თიხად ოდეს,
სხვებისთვის რომ მზე ამოვა
ესეც უნდა გიხაროდეს.

გურამ ჯიქია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ინაწილებენ "სიტი პარკი" და მერია დაჯარიმებული მძღოლების ფულს – რა წერია ორმხრივი ხელშეკრულების გასაიდუმლოებულ პუნქტებში



*ქალი რაღაც მომენტში ილუზიონისტიც არის! მას შეუძლია არაფრისგან შექმნას სალათა და ტრაგედია! – ამბობს მარკიზ დე სადი.*

*– ქალებმა დაგღუპეს შენ! – უკიჟინებს ხუტა-ციხე თავის ხელქვეითს კინოფილმში "შერეკილები".*

*ეჭვსგარეშეა, რომ ქალებმა დაღუპეს თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა (სიყვარული ხომ ბრმაა!!!), როცა საკუთარ ოჯახსა და შვილებს ზურგი აქცია და ვიღაც ქალს გადაეკიდა, რომლელიც ავსტრიაში გააგზავნა სამშობიაროდ და დიდძალი ფულიც დაახარჯა. შემდეგ კი, როცა ციხეში მოხვდა, იმ ქალმა მყისვე ზურგი აქცია და სხვა ვიღაცას გაეკიდა.*

*გულახდილად ვამბობ, როგორც კაცი ნამდვილად შემეცოდა გიგი უგულავა, რადგან ციხეში მოხვედრილ ადამიანს ისედაც დარდი უხრავს გულს და ალბათ უძნელესი გადასატანი იქნება, როცა ამის ფონზე საყვარელი ქალის ღალატსაც გაიგებ!*

*მაგრამ, გიგი მხოლოდ იმით შემიძლია ვანუგეშო, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია და თავიდან შეუძლია ცხოვრების დაწყება, ან ჭეშმარიტ ოჯახში დაბრუნება და ოჯახური "სტატუს-კვოს" აღდგენა!*

*მაგრამ არის "იაღლიში" (თუმცა, მიჭირს, რომ "სიტი-პარკთან" დადებული ხელშეკრულება მავანთა შეცდომად აღვითქვა, რადგან აქ აშკარად იკვეთება ანგარებით ჩადენილი დანაშაულის კვალი!), რომელსაც ვერც დარდი უშველის და ვერც ცოდვების მონანიება, რადგან დანაშაულებრივი გარიგების წყალობით უკვე წლებია იყვლიფება თბილისის მოსახლეობა და ეს ყვლეფა 2024 წლამდე გაგრძელდება, თუ, რა თქმა უნდა, თბილისის მერიამ რაიმე გამოსავალი არ მონახა და თავიდან არ მოგვაშორია დედაქალაქელი მანქანების მესაკუთრეებისათვის მაჯლაჯუნად ქცეული "სიტი-პარკი".*

*მაგრამ ჯერ საქმეს საიმედო პირი არ უჩანს, რადგან ნარმანიას ან არ აწუხებს თბილისელთა სატკივარი, ან თავადაც კარგად "ჩაეხუტა" "სიტი-პარკის" მესვეურებს და უგულავას ექსტაზით (არა – დიეტით) ქაფავს ფულს!*

*დავიწყოთ თავიდან:*

2007 წელს დედაქალაქში ავტომობილების პარკირების ორგანიზებისთვის თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ აუქციონში, შპს **"ამაგონის"** და შპს "**Sohar parking servisis**" კონსორციუმმა გაიმარჯვა. აღნიშნულმა კომპანიებმა შპს **"სიტი პარკი"** დააფუძნეს, რომელიც 2007 წლიდან მონოპოლისტი გახდა თბილისის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების საკითხში.

მიუხედავად დიდი საზოგადოებრივი ინტერესისა, თბილისის მერიასა და შპს **"სიტი პარკს"** შორის დადებული ხელშეკრულების ყველა დეტალი მხოლოდ 2 წლის წინ გახდა ცნობილი. წლების განმავლობაში, სხვადასხვა ორგანიზაციები ცდილობდნენ მოეპოვებინათ ორმხრივი ხელშეკრულების სრული დეტალები, თუმცა ეს დღემდე შეუძლებელია. **"სიტი პარკსა"** და მერიას შორის ურთიერთობის შესახებ მერიის შესაბამისი უწყებებისგან ითხოვა, თუმცა ტელეკომპანიის სურვილი, დაფიქსირებულიყო მერიის პოზიცია, უყურადღებოდ და უპასუხოდ დარჩა.

**"ახალგაზრდა ადვოკატები"** ერთ-ერთი ორგანიზაციაა, რომელიც წლების განმავლობაში **"სიტი პარკსა"** და მერიას შორის დადებული გასაიდუმლოებული დოკუმენტის შინაარსის და სამართლებრივი ნორმების გარკვევის შესახებ მუშაობს. არჩილ კაიკაციშვილი, დოკუმენტის გრიფით საიდუმლოებასთან დაკავშირებით იურიდიული ასპექტებით საუბრობს: **"ხელშეკრულება არის კაბალური და მხოლოდ ორიენტირებულია კომპანიის ინტერესებზე. ხელშეკრულების ცალკეული პუნქტები კი, გაუგებარი და ბუნდოვანია".**

**"ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა"** გაშიფრა დოკუმენტის შინაარსი და აღმოჩნდა, რომ დღემდე კომერციულ საიდუმლოდ იყო მიჩნეული ისეთი საკითხები, როგორიცაა ფორსმაჟორი (მუხლი 13.5), კონფიდენციალურობა (მუხლი 15), ასევე ინფორმაცია მრჩეველთა კომიტეტის შექმნისა და წევრობის დეტალების შესახებ (4.1 დანართის მე-4 მუხლი). მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი **"სიტი პარკის"** მიერ თბილისის მერიისთვის წარდგენილ ანგარიშებში დაფარული არ ყოფილა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ **"სიტი პარკის"** ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებული იყო, რომ მას ქ.თბილისში პარკირების სფეროს მართვის უფლება 15 წლის ვადით მიენიჭა, ქ.თბილისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების (2007 წლის 7 დეკემბრის) მე-3 მუხლი, რომლითაც ეს ვადები განისაზღვრა, საიდუმლოდ იყო მიჩნეული.

ამას გარდა, პარკირების წესის შეცვლის გათვალისწინებით თბილისის მერია და **"სიტი პარკი"** მორიგდნენ, რომ სიტი პარკი მიიღებდა 3 ლარს პარკირების ყოველი ჯარიმიდან, ხოლო ის თანხა, რაც დარჩებოდა **"სიტი პარკის"** მიერ საკუთარი მინიმალური წლიური თანხის მიღების შემდეგ, კვლავ 40-60%-ით გადანაწილდებოდა **"სიტი პარკსა"** და თბილისის მერიას შორის. იურიდიულად ეს და სხვა პუნქტების შინაარსი ნიშნავს იმას, რომ **"სიტი პარკი"** დამკვეთთან, ანუ მერიასთან შედარებით ბევრად უკეთეს პირობებშია ჩაყენებული.

დოკუმენტის თანახმად ისიც ირკვევა, რომ თუ მერია **"სიტი პარკთან"** ხელშეკრულებას გაწყვეტდა მისი ვადის გასვლამდე, ამ უკანასკნელს კომპენსაციის სახით 25 მილიონი ლარის გადახდა მოუწევდა.

ხელისუფლების ცვლილების, კერძოდ კი თბილისის მერად დავით ნარმანიას არჩევის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მერია **"სიტი პარკის"** საერთოდ აღკვეთას თუ არა, კაბალური პირობების შემსუბუქებას მაინც მოახდენდა. **"პალიტრა ტვ"**-ს სტუდიაში სტუმრობისას ამის შესახებ დავით ნარმანიამ განაცხადა:

**"დიდი ხანი ველარ გაჩერდება თბილისში. ძალიან კაბალური ხელშეკრულებაა. ერთი რამ რაც დანამდვილებით ვიცით, ეს არის ავტომობილების საჯარიმო სადგომზე გადაყვანა, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისება, რაც ხშირ შემთხვევაში დამატებითი დისკომფორტია. "სიტი პარკთან" ძალიან მძიმე საუბარი გვაქვს და ასევე გაგრძელდება, იმისათვის რომ მივაღწიოთ იმას, რაც ასე სჭირდება ქალაქს"** – განაცხადა თბილისის მერმა.

განცხადება განცხადებად დარჩა, **"სიტი პარკი"** კვლავ აგრძელებს შეუცვლელი ხელშეკრულებით ფუნქციონირებას. საინტერესოა, რატომ? ამ კითხვაზე პასუხი ალბათ ხელშეკრულების გასაიდუმლოებულ პუნქტებშია...

გულდამწვარი და ფულამორთმეული თბილისელების სახელით,

**როლანდ ჯალაღანია**

**ეპილოგის მაგიერ** – სოცქსელში ამოკითხული ერთ-ერთი გამოხმაურება:

*ოცნებას ნარმანია თუ დაასამარებს თორემ ნაცები ვერაფერს დააკლებენ. ნარმანია არის ყოვლად დაუდგენელი პიროვნება, აი, როგორც ჩორტ ეგო ზნაეტია. ვერ გაიგებ, ვინ არის, რა უნდა, რას აკეთებს. ყველამ ვიცით რომ მარგველაშვილივით ხათრით არჩეული კაცია და ახლა რა ვქნათ? ნარმანია არ იყო რომ არჩევამდე გაიძახოდა "სიტი პარკს" გავაუქმებო? შე დალოცვილო, თუ არ აუქმებ, უთხარი ხალხს რატომ არ აუქმებ და სად მიდის ჩვენი ჯიბიდან ამოღლეტილი ფული, რომელიც მილიონებია. გზებზე ჭის სახურავები მაინც დააფარებინე ისეთი, რომ არ კოტაობდეს და დღედაღამ რაკარუკით არ დაგვაწყვიტოს ნერვები, ან რაღაც კუსტარული სახურავები რა არის, რომელიც პირველივე მანქანის გადავლაზე ამოვარდა თორნიკე ერისთავის ქუჩაზე და გზის პირას გდია დაჭყლეტილი, მანქანები კი ოთხკუთხა ჭაში ურახუნებენ და მიდის გინების კორიანტელი. არ მოგბეზრდა, ნარმანიავ, ამდენი გინება? მე, მაგალითად, მხოლოდ ამ უნიათო და გაურკვეველი კაცის გამო ვეტყვი უარს ოცნებას არჩევნებზე.*

***P.S.*** შუქი მაშინაც არ გამოჩნდა გვირაბის ბოლოში, როცა საქართველოს პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა პარტია "მემარცხენე ალიანსის" ინიციატივა განიხილა, რომელიც "სიტი პარკის" უფლებამოსილების შეჩერებას გულისხმობს. პარტიის მიერ, საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი ინიციატივა "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილების შეტანას საჭიროებს. პარტიის ლიდერის კახა ძაგანიას თქმით, ახლო მომავალში, საკომიტეტო მოსმენების დასრულების გამო, კომიტეტმა აღნიშნული ინიციატივის განხილვა არ ისურვა.

როგორც ძაგანიამ საუბრისას აღნიშნა, მოქმედ დეპუტატებს აღნიშნული საკითხის მოგვარებისთვის პოლიტიკური ნება არ გააჩნიათ.

"კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ განმარტა, რომ დროის უქონლობის გამო აღნიშნული საკითხი ვერ განიხილება. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ და სხვა დეპუტატებს პოლიტიკური ნება არ გააჩნით აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. ყველამ კარგად იცის, კომპანია "სიტი პარკი" როგორ და ვისი ლობირებით არსებობს ჩვენს დედაქალაქში. ჩვენ ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ არჩევნებს და გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად მოვაგვარებთ აღნიშნულ პრობლემას, რომელიც "სიტი პარკს" უკავშირდება",– განაცხადა კახა ძაგანიამ.

# „აბელ, ვარლამი მოსულა"!




ყველას მოეხსენება, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ 2012 წლის 1 ოქტომბერს პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა **„ნაციონალურ მოძრაობას"** – ხელისუფლების სადავეები ჩამოართვა, პოლიტიკურ საფლავში ჩადო და მიწაც მიაყარა!

მიუხედავად ამისა, კოალიცია **„ქართული ოცნების"** მმართველმა ძალამ პოლიტიკური გვამი მიწიდან ამოთხარა, ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა, მოაძლიერა და ისევ პოლიტიკურ ასპარეზზე დააბრუნა, ასე ვთქვათ, კოჰაბიტაციაში შევიდა და ქართველი ხალხის უმრავლესობის პირველივე დაპირება სამართლიანობის აღდგენის შესახებ წყალს გაატანა!

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, **„ქართულმა ოცნებამ"** ბატონი ბიძინა ივანიშვილის თამადობით ყველაზე მძიმე კრიმინალური დანაშაულის მოსამართლე ლევან მურუსიძე წინა რეჟიმის მსხვერპლად გამოაცხადა და ქართული სასამართლოს სიმართლის დამცველის ტიტულიც კი მიანიჭა!

ასევე, კოალიცია **„ქართულმა ოცნებამ"** პარლამენტში ყველა **„ნაციონალური მოძრაობის"** მაჟორიტარი დეპუტატიც შეიერთა, ზუგდიდის ადგილობრივ არჩევნებში **„ნაციონალური მოძრაობის"** კანდიდატიც წარადგინა, ყოფილი ზონდერები სამსახურებრივად დააწინაურა (ჩამონათვალი ძალიან დიდია) და ქართულ საზოგადოებას **„საუკეთესო 4 წლის"** საუკეთესო შედეგების სია ასე წარუდგინა!

ცხადია, ეს ყველაფერი რთული გასაგებია ამ ძალის მხარდამჭერთათვის. თუმცა, თუ გავიხსენებთ ბატონ ბიძინა ივანიშვილის წერილს და შემდეგ სკანდალად მონათლულ ტელეინტერვიუს, ასე ვთქვათ, განმეორდა **„მოდელირებული ქრონიკა"** რომელიც ერთი-ერთში ჯდება: თუ არ იქნება **„ქართული ოცნება"** (იგულისხმება ბატონი ბიძინა ივანიშვილი) ქვეყანა დაიღუპება, კატასტროფას განიცდის და ა.შ.

მინდა შეგახსენოთ ბატონო ბიძინა, რომ ამ ქვეყანაში ორი კი არა, ორასი პარტიაა და ადამიანი ან პოლიტიკური ძალა, რომელიც ედრება და კონკურენტად მიიჩნევს ყველაზე ბინძურ, სისხლში ხელებამოსვრილ პოლიტიკურ ძალას, ის (ადამიანი) ან (პოლიტიკური პარტია) უუნაროა, ან არაფრის გამკეთებელი და მატყუარა, რომელიც ცუდის ფონზე კარგად უნდა წარმოჩინდეს!

ვადასტურებ იმ ფასდაუდებელ ღვაწლს, რაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაუკეთა საქართველოს, თუნდაც სააკაშვილისსისხლიანი რეჟიმის ხელისუფლებიდან ჩამოშორებით. ძალიან უმადურად მიმაჩნია ის ადამიანი, ვისაც ამ ღვაწლის დაფასება და მადლიერების გამოხატვა არ შეუძლია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გასაკრიტიკებელი არ გავაკრიტიკოთ და პირში წყალი ჩავიგუბოთ!..

აქვე მინდა შევეხო იმ მიკერძოებულ და ყველაზე რეიტინგულ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ს:

ბატონებო და ქალბატონებო, სიმართლე ის არის, რომ მაყურებელს სეირის და ინტრიგნული ინფორმაციის მოსმენა და ყურება უფრო სიამოვნებს, ვიდრე ობიექტური ინფორმაციის მიღება. აქედან გამომდინარე, არავის აქვს უფლება დემოკრატიის პრეტენზიის მქონე ქვეყანაში შეზღუდოს სიტყვის თავისუფლება.

„რუსთავი 2" საშიში არ იქნებოდა იმ ხელისუფლებისთვის, ვისაც თავისი მოსახლეობისთვის სათქმელი აქვს, თუნდაც დაპირებული სამართლიანობის აღდგენაზე, ეკონომიკაზე, სოციალურ საკითხებზე, სოფლის მეურნეობაზე და ა.შ.

უფრო საშიში, მლიქვნელი და კორუფციაში ჩაფლული მედროვეები არიან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან და აბრუნებენ ქვეყანას ჭაობში. ასეთები არ აკლია დღეს **„ქართულ ოცნებას"** (და არამარტო მათ), ეს ის ადამიანები არიან, ვისაც ზურგში დანის დარტყმა ადვილად შეუძლიათ.

ვფიქრობ, ქვეყნის წინსვლას ისიც აფერხებს, ვინც მომავალ თაობას არ აძლევს თვითრეალიზაციის საშუალებას და არ გამოყავს პროფესიონალი და პატრიოტი ადამიანები პოლიტიკურ ასპარეზზე!

**ბექა კუპრაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აურზაური სალხინეთში, ანუ სიმართლე, რომელზეც არ საუბრობენ

**„სალხინეთი” – საქართველოს დალხენილ რჩეულთა”** სავანეა, ანუ პარლამენტი, რომელიც ხალხის ნების გამომხატველი არასდროს ყოფილა. ამჟამად პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობაა, განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით თ. მეჭიაურმა, რომელმაც ცალკე პარტიაც ჩამოაყალიბა და გ. თოფაძემ. **„ქართული ოცნების”** მმართველობის ბოლო წლის მიწურულს რატომ გაჩნდა კითხვები „ნატოსთან” დაკავშირებით? – **„ჩვენ მხოლოდ ვიმეორებთ იმას, რასაც ამერიკელები ამბობენ”** – თავი დაიზღვიეს პარლამენტარებმა და აღნიშნეს, რომ ევროკავშირში შესვლას მხარს უჭერენ. **„– ნატოში არ გვიღებენ”** – დანანებით კი არ უნდა ვსაუბრობდეთ, თითქოს სამოთხეში შესვლაზე გვეუბნებიან უარს, არამედ ეს თემა იდეაშიც არ უნდა გვქონდეს. არცერთი პარლამენტარი არ საუბრობს იმაზე, რომ „ნატო” ტერორისტული ორგანიზაციაა და ყველა ქვეყანაში ამერიკის ინტერესებს ახორციელებს. არავინ საუბრობს, რომ **„ნატო”**-ს აქვს ფაშისტური ფესვები და შეიქმნა ჰიტლერის გენ. შტაბის წარმომადგენლის – რეინხარდ გერ გელენის ინიციატივით, რომელიც მიეყიდა ამერიკელებს. ამერიკამ მსოფლიო კრიზისამდე მიიყვანა და გააჩინა უამრავი ლტოლვილი. მან არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნებს შეუქმნა პრობლემები, არამედ ევროპის ქვეყნებსაც და სწორედ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები ცდილობენ ევროკავშირსაც და **„ნატოსაც”** თავი დააღწიონ. თავად ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი – დ. ტრამპი აღნიშნავს, რომ რუსეთთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობა უნდა და **„ნატო”**, რომელიც სსრკ-ს საპირწონედ შეიქმნა, აღარ უნდა არსებობდეს. არავინ საუბრობს, რომ **„ნატო”**-ში შესვლის სანაცვლოდ საქართველო თავისი სუვერენიტეტით და ტერიტორიების დარღვევით გადაიხდის და ქართველი ხალხი მუსულმანური სახელმწიფოს – თურქეთის დიქტატის ქვეშ იცხოვრებს. საკითხავია, ვისგან ვიცავთ თავს **„ნატო”**-ს დახმარებით? თუ რუსეთისგან ვიცავთ თავს, ვის ტერიტორიაზე განხორციელდება ეს თავდაცვა და როგორ აისახება ეს საქართველოზე? არავინ საუბრობს რა მიზანი აქვს **„ნატო”**-ს წვრთნებს, ბაზების განლაგებაზე პროვოკაციულ განცხადებებს და რა შედეგის მომტანია ტანკები, რომელიც მხოლოდ რუსეთის გაღიზიანებას იწვევს? ფუნქცია, რომელიც ამერიკამ საქართველოს დააკისრა ძალიან მარტივია – რუსეთის გაღიზიანება. იგივე როლი აკისრია უკრაინას. დ. ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლით, რომელსაც არ უნდა ამერიკა სხვა ქვეყნების საქმეებში ერეოდეს, საქართველო კარგავს გამაღიზიანებლის ფუნქციას, რომელიც **„ნატო-ნატო”**-ს რიტორიკაში გამოიხატება: აღმაშფოთებელია, რომ ჩვენ ასეთი შეკვეთების შემსრულებელ პრიმიტიული აზროვნების ერად მივაჩნივართ და ამ სიტუაციას ვეგუებით – ეს ხომ ერის ღირსების საკითხია, ჩვენი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ და არა პირადი სიმპათიების – რამდენად მოგვწონს ამერიკა ან რუსეთი; უნდა გავაცნობიეროთ და შევაფასოთ რუსეთის პოლიტიკის ღირსებები თუ ღირებულებები და შესაბამისად დასკვნები გავაკეთოთ.

არავინ საუბრობს, რომ „ნატო”-ს წევრი ქვეყნები საერთო შიდა რესურსის 2-დან 4%-მდე იხდიან და ჩვენს ქვეყანას ეს მძიმე ტვირთად დააწვება.

დალხინებულ პარლამენტარებს 4 წლის შემდეგ ახსენდებათ ხალხი, თანაც იმ ასპექტში – რატომ ვატყუებთო, თითქოს **„ნატო”**-ში შესვლა რაიმე სიკეთის მომტანი იყოს ჩვენთვის, მაგრამ ხომ სჭირდებათ თემა, რომელზეც ისაუბრებენ? 25 წელი ქართველმა ხალხმა ვერ შეძლო სიდუხჭირის დაძლევა და ზოგიერთ დარგში 1920-30 წლის დონეზე დავეშვით. რაც შეეხება ევროკავშირში გაერთიანებას, აქაც გვატყუებს ხელისუფლება, როცა ბალტიისპირეთის მაგალითზე მიგვითითებს. თავად გაეროს გენ.მდივანი – პან გი მუნი აღნიშნავს, რომ ბალტიისპირეთი კვდება, ქვეყანა დაიცალა და მათ ადგილს უცხო თესლი იკავებს. გარდა ამისა, ევროკომისია მათგან ითხოვს უცხოელებზე მიწების გამარტივებული წესით მიყიდვას, რაც ჩვენს ქვეყანასაც ემუქრება. ბალტიისპირეთს რძის პროდუქტების წარმოებაში ევროკავშირმა შეზღუდვები დაუწესა, ასევე ბულგარეთსა და პოლონეთს – ხილისა და ბოსტნეულის წარმოებაში. სსრკ-ს პერიოდში ბულგარული პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობდა და მთელ კავშირს ამარაგებდა თავისი ნაწარმით. დღეს ბულგარეთში ადგილობრივი ხილბოსტნეული გერმანულმა ჩაანაცვლა – დასავლეთ ევროპა თავის პროდუქციას ასაღებს. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენც დაგვიწესონ შეზღუდვები ყურძნის წარმოებაში, რაც ჩვენს იდენტობასთან არის დაკავშირებული. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში – ავკაფოთ პოლონელების მსგავსად ვაშლის ხეები და ვაზი?!

როგორი დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ხელისუფლების ოთხწლიანი მმართველობის შედეგებზე? მთელი სახელისუფლებო სპექტრი გაყიდულია ამერიკელებზე და ყველა მათ მითითებებს უყოყმანოდ ასრულებენ. – მართალია დანამატებს ვიღებთ, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთო – ბრძანა იუსტიციის მინისტრმა. მართლაც საშვილიშვილო საქმეს იკეთებენ თავიანთი ოჯახებისთვის! ასეთი შემოსავლების პირობებში რომელიმეს თუ დაებადა კეთილშობილური იდეა საქველმოქმედო ფონდი შეექმნათ და თავიანთი შემოსავლებიდან ყოველთვიურად გარკვეული თანხა ჩაერიცხათ თუნდაც იმ სტუდენტების დასახმარებლად, რომელთაც ინსტიტუტებიდან რიცხავენ თანხის გადაუხდელობის გამო? ლ. ბერძენიშვილმა ის გაახმოვანა, რასაც მთელი სახელისუფლებო სპექტრი გულში მღერის: ხალხისგან ხმები გვინდა და არა მათი კეთილგანწყობაო(?!). პარლამენტარ მ. კობახიძეს ახლა გაახსენდა: ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე სიღარიბეა და ჩვენ მას დავამარცხებთო (?!) როგორ დაამარცხებენ თუ სისტემა არ შეცვალეს და პროპორციული თანაფარდობით არ მოხდა ხელფასების დანიშვნა, ხოლო ეს თანაფარდობა მინიმუმზე არაუმეტეს ხუთმაგი ოდენობისა უნდა იყოს! როგორ უნდა დაამარცხონ სიღარიბე, როცა მთელი ქვეყნის შემოსავალს თავად იდებენ ჯიბეში და 100 ათასიან ჯიპებს იცვლიან?! ხშირად წამოცდენები უფრო მეტს ამბობს ხელისუფლების რეალურ მიზნებზე, ვიდრე დეკლარირებული **„სიმართლე”**. როგორც განაცხადა მეჭიაურმა მისი პარტიის შექმნა ივანიშვილთან შეთანხმებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილის გენერალურ კურსს უპირისპირდება და თან ამ დაპირისპირებას ივანიშვილს უთანხმებს. ამავე დროს აცხადებენ, რომ ჩვენ უკან დასახევ გზას ვიტოვებთო(?!) რა არის ეს, თუ არა ხალხის გაბრიყვების მცდელობა? ხომ არ არის ეს პარტია ისეთივე სატელიტი **„ქართული ოცნებისა”**, როგორც პაატა ბურჭულაძის პარტია – **„ნაცების”**?

ივანიშვილი აღნიშნავს, რომ ამერიკის ელჩთან იდეოლოგიურ თანხვედრაშია, ხოლო ამერიკის ელჩი **„მაიდნით”** გვემუქრება და ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებს – სასამართლოს სურს მიაღებინოს რუსთავი-2-თან დაკავშირებით ის გადაწყვეტილება, რაც მისთვის სასარგებლოა. ამერიკა ელჩის პირით მოურიდებლად შეგვახსენებს ხოლმე – რამდენი გაიღეს საქართველოსთვის, რათა ჩვენ რუსეთთან მუდამ დაპირისპირებული ვიყოთ. დროა გავაცნობიეროთ რასთან გვაქვს საქმე. ყოველივე, რაც ხდება, იმის შედეგია, რომ ქვეყანაში გატარებული პოლიტიკა ხალხის ინტერესებთან თანხვედრაში არ არის. ივანიშვილი საქართველოს განვითარების გზას ევროპასა და **„ნატო-“**ში ხედავს, მაგრამ როგორ დაარწმუნებს რუსეთს, რომ მისთვის დამიზნებული რაკეტები საშიშროებას არ წარმოადგენს?

ახალმა **„საოცნებო”** ლიდერმა – კოღუაშვილმა თავისი **„ნაც-ქოცური”** სიმყრალე ამოაფრქვია. ეს ის სიმყრალეა, რასაც **„ოცნებისტი”** პრემიერი და მისი თანამოზარეები გულდასმით ნიღბავენ, მაგრამ, როგორც ჩანს, **„ჭირმა თავი არა დამალა”**. მან ერთდროულად თავისი მეგობრის – პრემიერის გულის მოგებაც მოინდომა და მკვეთრად პროდასავლური მიდგომა დააანონსა, ამავე დროს, დასავლელი პარტნიორებისაც – **„ნაცების”** ქებით, რომელნიც ამ ძალის რეანიმაციას ცდილობენ და მათ ერთგვარ ბერკეტად მოევლინა! მსგავსი არსებების პოლიტიკა ორსქესიან არსებათა ცხოვრების წესს მაგონებს – ორმაგი სტანდარტებით მოთამაშე, რომელიც გაცილებით ამაზრზენია, ვიდრე მამალი **„ნაცი”**.

– **„ჩვენ ვაფასებთ ბიძინას ბრძოლას სააკაშვილის წინააღმდეგ”** – ვერ ისვენებენ ბიძინისტები და ოპოზიციის ერთი ნაწილი. – მაშ დააფასეთ ამერიკელთა ძალისხმევაც, რამეთუ მათი ინიციატივით მოვიდა ივანიშვილი ქვეყნის სათავეში და ციხის კადრებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა; დააფასეთ ისიც, როგორ ცდილობს ამერიკა კრიმინალი სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს, რითაც ქართველი ხალხის კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს. სახელისუფლო წრიდან გვესმის განცხადებები, რომ თუ ხალხი არჩევნებზე მივა, **“ნაცები”** პოლიტიკური სივრციდან გაქრებიან. ერთი რამ ცხადია, არავითარი ბრძოლა ნაცების წინააღმდეგ არ ყოფილა. ივანიშვილს საამისოდ სამართლებრივი და პოლიტიკური ბერკეტები ჰქონდა, მაგრამ არ გამოიყენა. ვერ გააცნობიერა, არის თუ არა კრიმინალური სააკაშვილის რეჟიმი: მკვლელობების ინიციატორები, პროვოკაციული ომის წამომწყები და ტერიტორიების დამკარგავი, ორგანოებით მოვაჭრე თბილისსა თუ უკრაინაში, ანალური სექსისა და პროქტოლოგიური წიაღსვლების დიდოსტატები. **„ოცნებისტებისთვის“** ახალი ტყუილი მათი სამოქმედო გეგმის ნაწილია, რათა კვლავ ვენდოთ, მაგრამ ივანიშვილი ვერ გახდება ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების გამომხატველი დამოუკიდებელი პოლიტიკოსი. აღმოსავლური სიბრძე გვასწავლის: **„ვინც ხელს უწყობს დამნაშავეს, ორმაგად დამნაშავეა“**. საქართველოსთან, ქართველ ხალხთან მიმართებაში დამნაშავეა ქვეყნის ხელისუფლება, რადგან მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ჩვენი იდეოლოგიური მტრის – დასავლეთის მითითებებით ხორციელდება. დღეს საქართველო ამერიკული დემოტრაკიით ყარს!

არავინ საუბრობს, რომ ვიზალიბერალიზაცია ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ეს ქვეყნის ხელისუფლებას ხელს აძლევს, რომელსაც ხალხის უზრუნველყოფის საშუალება არ გააჩნია, მაგრამ ქართველი ერისა და საქართველოს მომავლისთვის დამღუპველია. რას გვთავაზობს დღეს **„ქართული ოცნება”**? – წადი ქვეყნიდან! – ეს ხელისუფლების მესიჯია ქართველი ხალხის მიმართ.

არავინ საუბრობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ხოლო აფხაზები მადლობას სწირავენ რუსეთს, რომ გადაარჩინა საქართველოს ხელისუფლების გავლენისაგან, რომელმაც ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმი სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია. დიახ, პუტინმა აფხაზები და სამაჩაბლო იხსნა ზნეობრივი გახრწნილებისაგან და ჩვენ, ქართველებმაც ეს საკითხი ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ და არა როგორც ოკუპაცია.

რას ფიქრობს ოპოზიცია? მათ ყველა ბერკეტის გამოყენება სურთ, რათა ხელისუფლებაში მოვიდნენ. მაგალითად, ყველაზე მძიმე წონის **„პატრიოტი”** – თარხან-მოურავი ყველაზე მძიმე წონის **„ეროვნული”** – სანიკიძესავით გვამუნათებს, რომ ევროკავშირში უნდა შევიდეთ და არაფრის შეცვლა არ შეიძლება, რადგან მსოფლიო თანამეგობრობა ამის უფლებას არ მოგვცემს, ანუ ჩვენ ჯაჭვით დაბმული მონები ვართ. არ ვიცი რამდენად ოცნებობს მილიონის მოხვეჭაზე თავისი კოლეგასავით, მაგრამ, მოგვიწოდებს, რომ ყველამ, ვისაც არ უნდა **„ნატო”** და ევროკავშირი მაინც ხმა მის პარტიას უნდა მისცეს, ხოლო ის ევროპიდან დაალაგებს ურთიერთობებს რუსეთთან. ეს კი ნიშნავს, რომ როგორც კი პუტინი ინაშვილსა და თარხან-მოურავს პარლამენტში იხილავს, შიშისგან შარდის შეუკავებლობა დაემართება იმ ამერიკელი ჯარისკაცებივით თავიანთი **„დემოკრატიული”** შარდით მოკლულ თალიბებს რომ **„აპატიოსნებდნენ”**! ამ კადრებმა მსოფლიო მოიარა! ოპოზიცია, რომელიც საქართველოში ეროვნულ ტრადიციებზე და იდეოლოგიაზე გვესაუბრება, დასავლეთში სწორედ ჩვენი იდეოლოგიის მტრებს თავის თავს სთავაზობს: ჩვენ უკეთეს პარტნიორობას გაგიწევთო, ანუ თქვენს დირექტივებს უკეთ შევასრულებთო. პარტია, რომელმაც **„პატრიოტი”** დაირქვა და მეზობელ ქვეყანას – რუსეთს **„საერთაშორისო ბანდიტს”** უწოდებს, ის მოაგვარებს შემოვლითი გზებით ურთიერთობას

**ჩვენ ვაფასებთ ბიძინას ბრძოლას სააკაშვილის წინააღმდეგ – ვერ ისვენებენ ბიძინისტები და ოპოზიციის ერთი ნაწილი. – მაშ დააფასეთ ამერიკელთა ძალისხმევაც, რამეთუ მათი ინიციატივით მოვიდა ივანიშვილი ქვეყნის სათავეში და ციხის კადრებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა; დააფასეთ ისიც, როგორ ცდილობს ამერიკა კრიმინალი სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს, რითაც ქართველი ხალხის კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს**

რუსეთთან?! თუ რუსეთი საერთაშორისო ბანდიტია, მაშინ ამერიკა ბანდიტების სუპერსახელმწიფოა! პირდაპირ ეთერში ვკითხე თარხან-მოურავს: ჩვენი ეროვნული გზა აფხაზეთ-სამაჩაბლოზე გადის, რატომ არ ჩადიხართ იქ? – რა იცით რომ არ ჩავდივარ? – მპასუხობს **„პატრიოტი”** და ეთერს მითიშავს. – მაშ იმაზე მესაუბრეთ, თქვე კეთილმოდელირებულებო, რა დადებითი მუხტი მოგაქვთ იქიდან და არა იმაზე, ათასმეერთე სენატორმა რა გითხრათ და რა უთხარით! ეს სენატორები პუტინს ერთ უხერხულ ადგილზე ჰკიდია და სრულიად სამართლიანად! ქართველ საზოგადოებას თუ ახსოვს, რომ ამ ოპოზიციურმა ძალამ არსებული სახელფასო სისტემის თაობაზე როდისმე პროტესტი გამოთქვა? მათ მხოლოდ საარჩევნო გარემო აშფოთებთ, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ხომ უნდათ მსუყე დაფინანსება? მეტიც, მოგვიწოდებენ ის პარტია ავირჩიოთ, რომელიც არ ყოფილა ხელისუფლებაში – მხოლოდ საკუთარი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავენ. ერთი რამ ცხადია: ეს ის პოლიტიკური სპექტრი არ არის, რომელიც რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებს, ეს ის პოლიტიკანები არიან დასავლეთს უკანალს რომ უთამაშებენ!

ამასწინათ, ზუგდიდიდან ჩვენი გაზეთის მკითხველმა დამირეკა და მკითხა: მე 86 წლის კაცი ვარ, ბაბუ, მითხარი, საქართველო არავის უყვარს? მინდა ჩვენს მკითხველს ვუპასუხო: ჩვენ გვიყვარს საქართველო უანგაროდ, რიგით მოქალაქეებს, რომელნიც არც თანამდებობრივ და არც საპარლამენტო სავარძლებზე არ ვოცნებობთ!

P.S. ჩემი თანამოაზრე, გურჯაანელი მეურნე – მერაბ ზურაბაშვილი პოლიტიკურ სპექტრსა და მიმდინარე პროცესებს ასე გამოეხმაურა:

*„კაენის ნაბიჭვრები ხართ, იუდას ძმები სულითა,*
*სამშობლო ვერცხლზე გაცვალეთ მტრებმა მოგხიბლათ ფულითა*
*სუყველას მალე დაგერხეთ, ამას გისურვებთ გულითა!”*

ია თამაზაშვილი,
16 ივნისი, 2016 წელი
593 90 55 07

# ალექსანდრე ჭაჭია: „უახლოეს მომავალში საქართველოში ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ"

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)*

ვფიქრობ, თუ საქართველო ოდესმე იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩვენ უარს ვიტყვით რეგულარულ არმიაზე ამჟამინდელი სახით. რა თქმა უნდა, იქნება სამხედრო კონტინგენტი როგორც სახელმწიფოებრიობის ატრიბუტი, მაგრამ ეროვნული გვარდიის სახით და შესაბამისი ფუნქციებით. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მივმართოთ მაღალკვალიფიციური დიპლომატიური სამსახურის გასავითარებლად. ჩვენ გვჭირდება მაღალი დონის დიპლომატები, საერთაშორისო სამართლის, საგარეო ვაჭრობის, რეკლამის სპეციალისტები. ქართული სახელმწიფოს შენარჩუნება და ქართველი ერის განვითარების უზრუნველყოფა მხოლოდ დახვეწილ პოლიტიკას და დიპლომატიას შეუძლია.

**– რა ძირითადი ამოცანები დგას დღეს საქართველოს წინაშე?**

– ამოცანები იგივეა, რაც 5-10-15 წლის წინათ იყო, რადგან ხელისუფლების მორიგი შეცვლის მიუხედავად ქვეყნის ძირითადი პრობლემები არ გვარდება. ზოგიერთი პრობლემა გადადის წინა პლანზე, ზოგი – მეორე, მესამეზე, მაგრამ კვლავ მოუგვარებელი რჩება. მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი უკვე აღარ დგას დღის წესრიგში, ქვეყნის ხელმძღვანელობა მას უკვე აღარც ახსენებს, იზრდება ქართველთა ახალი თაობები, რომელთათვისაც ეს პრობლემა აქტუალური აღარ არის. ჩანს, ამ ტკივილს ჩემი თაობა თან წაიღებს...

ჩემი აზრით, უახლოესი 5 წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარი ამოცანებია: პირველი – ქვეყნის შემდგომი დაშლა-დანაწევრების არდაშვება; მეორე – ეროვნული ეკონომიკის შექმნა; მესამე – ემიგრაციის ნაკადის შეჩერება და მოსახლეობის რეალური რაოდენობის გაზრდა 4 მილიონამდე მაინც; მეოთხე – ქართველი ხალხის სოციოკულტურული თვითმყოფადობის, ზნეობის და სულიერების შენარჩუნება.

ამ ამოცანების გადაწყვეტა მოგვცემს შესაძლებლობას მიმდინარე ეტაპის სტრატეგიულ მიზანს მივაღწიოთ – ეს გახლავთ ქართველი ერის გადარჩენა ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი დეგრადაციისგან.

**– მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები, ქვეყნის ხელმძღვანელობა მთავარ ამოცანად ნატოსა და ევროკავშირში შესვლას მიიჩნევს...**

– მე და თქვენ არ ვართ პოლიტიკოსები და არ ვართ ვალდებულნი, ჩვენი მოსახლეობის მოსატყუებლად ამერიკის ელჩის დირექტივები შევასრულოთ. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ სიმართლე და მოსახლეობას თავს არ მოვახვიოთ აბსურდული ფანტაზიები. ისე კი, საერთაშორისო სტრუქტურებში გაერთიანება – ეს არის ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტის საშუალება და არა თვით ამოცანა.

**– დღის წესრიგში დგას ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საკითხი. ბევრი მიიჩნევს, რომ ამას მოჰყვება საქართველოს შესვლა ევროკავშირში...**

– ის, ვინც ლაპარაკობს ევროკავშირში საქართველოს შესვლის შესაძლებლობაზე, ან სულელია ან მოსყიდული პროპაგანდისტი. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოიღებენ, ეს მხოლოდ ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ჩვენი უმუშევარი ახალგაზრდობა ევროპის ქვეყნებს მიაწყდება, ოფიციალურად მუშაობის უფლების არქონის გამო გადავა არალეგალურ მდგომარეობაში და შავი სამუშაოების შესრულებით შეეცდება ფულის შოვნას. საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში საქართველოს უკვე თვლიან ქურდებისა და ბანდიტების ქვეყნად, საბერძნეთისთვის ქართველები მოსამსახურეები, მოხუცების მომვლელები არიან, თურქეთისთვის კი საქართველო იაფფასიანი მეძავების მიმწოდებელია. ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც თავისი ეკონომიკის აშენება არ შეუძლია, უმუშევარი მოსახლეობის გადინება, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს. მაგრამ აძლევს კი ეს ხელს ქართველი ერისა და ქვეყნის მომავალს? სხვათაშორის, ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ სახელმწიფოებს, სადაც მოსახლეობა 10 მილიონზე ნაკლებია, მომავალი არ აქვთ.

**– თქვენ ბრძანეთ ტრადიციული ზნეობის შენარჩუნების აუცილებლობაზე. მაგრამ როგორ შევინარჩუნოთ ის, თუკი ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, დასავლეთის ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლები ჩვენგან ითხოვენ „მოძველებულ მორალურ ნორმებზე" უარის თქმას, ითხოვენ ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას, გეი-აღლუმების ჩატარებას. როგორ გავუძლოთ ამ შემოტევას?**

– იმისათვის, რომ გავუძლოთ, კოლონია აღარ უნდა ვიყოთ. მაგრამ ეს ძალიან რთულია, შეუძლებელია უახლოეს მომავალში. სექსუალური გარყვნილების, მათ შორის პედერასტიის პროპაგანდა, მნიშვნელოვანი საშუალებაა ტრადიციული ხალხების გასახრწნელად. სხვათა შორის, სწორედ ამით დაიწყო ევროპის დექრისტიანიზაცია. ახალგაზრდებზე დასავლური პროპაგანდის გავლენის სიძლიერე აკრძალვების უარყოფაშია. **„ძირს მონობა! ყველაფერი დასაშვებია!"** – გაჰყვირიან ეს პროპაგადისტები. ეს მოწოდება ძალიან მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ტრადიციულ საზოგადოებაში ბავშვობიდან ესმით: **„ეს არ შეიძლება! ეს აკრძალულია! ეს არ შეეფერება ადამიანს! ეს კაცს არ ეკადრება!"** ტრადიციული საზოგადოება ხომ ადამიანურ მორალზეა აგებული, მორალი კი, ფაქტობრივად, აკრძალვების სისტემაა. და უცებ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ: **„მორალური ნორმები, ტრადიციები, ადათწესები – ეს ყველაფერი სისულელეა, ატავიზმი, წარსულის გადმონაშთი! ყველაფერი შეიძლება!"** – მორალური ნორმების უარყოფა, ზნეობრივი აკრძალვების გაუქმება ადამიანებს აქცევს პირუტყვებად, რომელთა მართვაც ძალიან ადვილია. ერი ნახირად რომ არ იქცეს, საჭიროა სახელმწიფო, რომელიც თავის მოქალაქეებს გამხრწნელი გავლენისგან დაიცავს, არ დაუშვებს უზნეობის პროპაგანდას, გარყვნილებას, იზრუნებს ერის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. კოლონია ვერ იქნება ასეთი სახელმწიფო. როდესაც პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ წინააღმდეგია ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონებისა, თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, თუ გახსოვთ, ვთქვი, რომ მას მოუწევს პოსტის დატოვება. ასეც მოხდა. კოლონიის ადგილობრივ ხელმძღვანელს არ შეიძლება ჰქონდეს პატრონებისგან განსხვავებული თვალსაზრისი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თვალსაზრისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის განწყობას ასახავს. თოფაძის, მეჭიაურის, ჯაჭვლიანის მაგალითზე ხომ ხედავთ, რომ პარლამენტის წევრობაც არ შეიძლება, თუკი სკეპტიკურად ხარ განწყობილი ნატოს მიმართ და არ გსურს შენი ვაჟების გათხოვება. ამიტომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას ახალი პარლამენტი დააკანონებს, და პედერასტიის პროპაგანდა საჭირო მასშტაბს მიიღებს – საბავშვო ბაღიდან უნივერსიტეტამდე. შეძლებს კი ქართველი საზოგადოება, სახელმწიფოს დაუხმარებლად, თვითონ დაუპირისპირდეს ამას? არა მგონია. საზოგადოებაში ძალიან ბევრია კონფორმისტი, გულგრილი ადამიანი, ბევრია ისეთიც, ვინც დასნებოვნებულია ზნეობრივი გახრწნილების ბაცილით. ქართული ტელეარხები, უკვე მრავალი წელია, ურცხვად ეწევიან გარყვნილების, ამორალურობის პროპაგანდას, მასხრად იგდებენ ეროვნულ ტრადიციებსა და ზნეობრივ ნორმებს, მაგრამ ეს განა იწვევს საზოგადოების მასობრივ პროტესტს? არადა, მდგომარეობა კატასტროფულია! საქართველოს **„კავკასიის ბორდელს"** ეძახიან! თურქები, აზერბაიჯანელები, სომხები თბილისსა და ბათუმში იმისთვის ჩამოდიან, რომ ქართველ **„გოგონებთან დაისვენონ"**. სირცხვილით დავიწვი, როდესაც მოვისმინე, რომ ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებიდან ახალგაზრდა მამაკაცებს **„დასავაჟკაცებლად"** თურმე საქართველოში გზავნიან. როდესაც ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დააკანონებენ, კავკასიელები მეძავებისა და პედერასტების ერს დაგვიძახებენ. სამაგიეროდ, ჩვენს პოლიტიკოსებს დასავლეთში თავზე ხელს გადაუსვამენ და **„ცივილიზებულებს"** უწოდებენ. ალბათ, ასე სურთ ჩვენს პოლიტიკოსებს საქართველოს გადაქცევა მომხიბვლელ ქვეყნად აფხაზებისა და ოსებისთვის, ასე სურთ მათი სტიმულირება გაერთიანებისკენ, როგორც ამას გვპირდებიან ხელისუფლებაში მყოფი ყბედები. გასულ წელს აფხაზეთის ტელევიზიის ეთერში აფხაზმა დეპუტატმა თქვა: **„მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ დროულად გავთავისუფლდით ქართული გავლენისგან, ახლა საქართველოს შემადგენლობაში რომ ვიმყოფებოდეთ, ისინი ჩვენს ახალგაზრდობას თავს მოახვევდნენ ჰომოსექსუალიზმს. ვის რა ჯანდაბად უნდა აფხაზეთში პედერასტები?!"**

**– როგორც ჩანს, უახლოეს წლებში არ ელით რაიმე თვისებრივ ცვლილებას ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. მაგრამ, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს საქართველო მომავალში? ის, რასაც „ქართული ოცნება"გვპირდებოდა, ბლეფი აღმოჩნდა. როგორი უნდა იყოს ქართული ოცნება ბრჭყალების გარეშე?**

– ჩვენ უნდა გადავხედოთ ჩვენს წარმოდგენებს საქართველოს როლისა და ფუნქციის შესახებ საერთაშორისო კონტექსტში. შევარდნაძემ და სააკაშვილმა გარე ძალების მითითებით საქართველოს თავს მოახვიეს **„პრობლემური ქვეყნის", მბჟუტავი ცხელი წერტილის"** როლი. რუსეთთან დაპირისპირებაზე სპეკულირებით, თავიანთი რეჟიმის რეგიონში დემოკრატიის ფორპოსტად წარმოჩენით დასავლეთს კრედიტები, სუბსიდიები, გრანტები დასტყუეს, პარალელურად ჰყიდდნენ ეროვნულ სიმდიდრეს, მათ შორის, მიწას. მიღებულ ფულს იპარავდნენ, ამავდროულად წაახალისებდნენ ემიგრაციის, შობადობის შემცირების, მოსახლეობის კვდომის მასტიმულირებელ სოციალურ პროცესებს. პოლიტიკური ელიტისა და მასთან დაახლოებული ბიზნესისთვის ჩაგრული **„დემოკრატიის კუნძულის"** როლი ძალიან სარფიანი აღმოჩნდა, მაგრამ ეს როლი ქვეყანას და ხალხს სასიკვდილოდ სწირავს.

**– მოგვცემენ კი იმის უფლებას, რეგიონში თავსმოხვეული როლი შევცვალოთ?**

– არა, ნებაყოფლობით არ მოგვცემენ. ასეთი კარდინალური ცვლილებისთვის საჭიროა მოსახლეობის უმრავლესობის ერთსულოვანი ნება და პატრიოტულად განწყობილი პოლიტიკური კლასი, რომელიც საქართველოში არ არის და არც ჰორიზონტზე ჩანს. მაგრამ დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ძალიან სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური, ცივილიზაციური, რელიგიურ-ეთნიკური პროცესები, რომლებიც, ალბათ, მსოფლიოს ახალი გადანაწილებით, გლობალური ძალების ახალი კონფიგურაციით დასრულდება, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს აიძულებს უარი თქვას ეროვნული სახელმწიფოების განადგურებასა და საკვანძო ადგილებში კონფლიქტების გაჩაღებაზე. ასეთ შემთხვევაში მისთვის საქართველო საჭირო აღარ იქნება და არ არის გამორიცხული, რაღაც პერიოდში საკუთარი თავი **„ჩვენადვე გვეყუდნოდეს"**.

**– თუკი ასე მოხდება, როგორი საქართველო უნდა ავაშენოთ?**

– ყოველთვის მიმაჩნდა, რომ საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც ისტორიულად განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ბუნებრივი პირობებით, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობით, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის მენტალიტეტით.

საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების – მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, გრიგორიანობისა და ასევე ისლამის ძირითადი განშტოებების – სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას. აქვე ისტორიულად არსებობს იუდაიზმი, ასევე ქურთების, იეზიდების, ასირიელებისა და მთელი რიგი ხალხების რელიგიები. და მიუხედავად ამისა, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე მომხდარიყოს სერიოზული შეტაკება, მით უფრო რელიგიური ომები.

ამიტომ საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური თანაარსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შემეცნებისთვის. მართალია, შევარდნაძემ და სააკაშვილმა საკუთარ მოსახლეობასთან ომის გაჩაღებით, რამაც ეთნოკონფლიქტების სახე მიიღო, უდავოდ სერიოზულად შელახეს საქართველოსა და ქართველების რეპუტაცია, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხის გონივრულად დასმით ეს გამოცდილებაც შეიძლება ვაქციოთ კვლევის საგნად, როგორც მაგალითი ავანტიურისტი ხელისუფლების ვოლუნტარისტული ჩარევისა ხალხების ბუნებრივად მიმდინარე თანაცხოვრებაში.

იდეალურ შემთხვევაში, საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებლად საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, სადაც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტები განთავსდებიან. სწორედ სხვადასხვა ხალხებთან და რელიგიებთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილების გამო საქართველოს შეუძლია დიალოგების არენად იქცეს ისეთი საკითხების გადასაწყვეტაში, როგორიცაა თურქულ-ქურთული, სომხურ-აზერბაიჯანული, ირანულ-თურქული, ირანულ-აზერბაიჯანული, თურქულ-სომხური პრობლემები, რამეთუ საქართველოში თითოეული მხარე დაინახავს მონათესავე გარემოს უკონფლიქტო თანაცხოვრების ჩვენეული გამოცდილებით. მსგავსი საქმიანობისთვის უზარმაზარ მოედანს წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასიაც. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით ჩვენ შევძლებდით მათ არსებით დახმარებას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც მუდმივად წარმოიშობა ხოლმე საქართველოსთან ისტორიულად მრავალი ძაფით დაკავშირებულ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის. საქართველოს აქვს ასევე ყველა წინაპირობა, რომ მსოფლიო რელიგიურ კონფესიათა შორის დიალოგის ადგილი გახდეს.

ასეთი როლი – ჟენევის როლი ჩვენს რეგიონში – უზრუნველყოფდა საქართველოს საჭიროებას ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის, შესძენდა მას პატივისცემას და შეუქმნიდა ავტორიტეტს რეგიონის ხალხებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა ჩვენ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შეძენა გამოიწვევდა ქვეყანაში ძალიან სოლიდური ფინანსური სახსრების მოზიდვას, მოახდენდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, კვლევითი მუშაობის სტიმულირებას ისტორიის, რელიგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დარგებში. ჩვენ უკვე დაგვავიწყდა, რომ თბილისი, რუსეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული, კავკასიის შესწავლის ცენტრი იყო, ხოლო გასული საუკუნის 30-70-იან წლებში აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლა პირველი იყო საბჭოთა კავშირში.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება უნდა ემყარებოდეს ინტელექტუალურ, მეცნიერებატევად დარგებს. მაგალითად, ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად არ დაგვიკარგავს საბაზო პოტენციალი ბიოტექნოლოგიის, მიკროელექტრონიკის, ფარმაცევტიკის განსავითარებლად. ამასთან, საქართველოს თავისუფლად შეუძლია იქცეს საერთაშორისო მნიშვნელობის სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრად, მაღალი კლასის კლინიკებითა და სანატორიული ბაზით. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია გახდეს მეზობელი ხალხებისთვის მათი კულტურული მიღწევების დემონსტრირების ადგილი: აქ შესაძლებელია საერთაშორისო თეატრალური და კინოფესტივალების, სამხატვრო გამოფენების, მუსიკალურ ღონისძიებათა ჩატარება; ჩვენ ხომ გვქონდა ამის გამოცდილება, უბრალოდ, საჭიროა აღვადგინოთ და გავაღრმაოთ იგი.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველო იყო ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების მსოფლიოში აღიარებული ერთ-ერთი ცენტრი, არსებობდა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. ბევრ ერს არ შეუძლია მოიწონოს თავი ეროვნული სამეცნიერო სკოლებით. გონივრული მიდგომით ამ ყველაფრის აღორძინება შეიძლება, ყველაფერი ეს მოთხოვნადია თანამედროვე მსოფლიოში, ყოველივე ეს საქართველოს მოუტანს პოზიტიური, მშვიდობისმოყვარე, ეფექტურად განვითარებადი ქვეყნის სახელს, ხოლო ქართველებს – თანამედროვე, ინტელექტუალური ერის რეპუტაციას, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით მეცნიერებასა და კულტურას ავითარებს.

ვოცნებობდი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ სწორედ ასეთ საქართველოს ავაშენებდით. სწორედ ასეთ მოდელს ვთავაზობდი 90-იან წლებში და იმედი მქონდა, რომ შევარდნაძე, თავისი საერთაშორისო გამოცდილებიდან და მაშინდელი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ამ გზით წავიდოდა. მაგრამ მან საგარეო დიქტატისადმი მორჩილება, ქვეყნის დეინდუსტრალიზაცია, სამეგრელოსა და აფხაზეთში ძმათაკვლა ამჯობინა. სააკაშვილმა კი გააგრძელა თავისი სულიერი მამის მოღვაწეობა. საქართველო დაიქცა, დაიშალა, მისი განვითარება შეჩერდა, დაიწყო ერის დეგრადაციის პროცესი. დღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ. გვაქვს თუ არა შანსი ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი? არ ვიცი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი უნდა იყოს ქართული ოცნება ბრჭყალების გარეშე.

**ესაუბრა დიტო ჩუბინიძე,**

გაზეთი **„ასავალ-დასავალი" (2016 წლის 16 და 23 ივნისი, №№ 23, 24)**

# რა გადაგვარჩენს ქართველებს, პოლიტიკური ამბიციები, თუ ჭეშმარიტების ბოლომდე გახსნა?

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

მრავალჯერ დასმული და უპასუხოდ დატოვებული კითხვები ასეთია: **– თუ იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა და ამ აზრის გამტარებლები ამაში დარწმუნებული არიან, რატომ აქვთ ზოგიერთებს ასეთი გენეტიკური შიში ე.წ. მეგრული ენის მიმართ და რატომ ებრძვიან მას ასე თავდაუზოგავად?**

**– თუ ქართის ტომი ძვ.წ. აღ-ით მე-3 ათასწლეულის შუა პერიოდიდან დაწინაურებული ტომია, მაინცდამაინც ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანების (1008 წ.) და ქართლური ენისათვის საერთო სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შემდეგ, პეტრიწის წინარე ხანაში, რატომ მომრავლდნენ „უნიჭო და უმეცარი“ მთარგმნელები, რომელთა თარგმანებს შორის „შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი იყო“, ხოლო ასეთს მანამდე აღარასოდეს ჰქონია ადგილი?**

**– თუ „წმინდა შუშანიკის მარტვილობა“ V საუკუნეში და დედანში ქართულ ენაზე დაწერილი ძეგლია, რომელშიც გაუგებარი არაფერია, რამ აქცია ქართული ენა პეტრიწის ეპოქისათვის ისე უხეშ, მდაბიო და გაუგებარ ენად, რომ მის მიერვე გატარებული ენის რეფორმის შემდეგდროინდელ მისივე ნაშრომს თარგმნა დასჭირდა (თარგმნა პროფესორმა დამანა მელიქიშვილმა), როცა პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, ერთ საუკუნეში, ისე განვითარება შეძლებია ქართულ ენას, რომ მდაბიო ენა კლასიკურ ენად ქცეულიყო?**

**– თუ იბერები და ქართები ერთიდაიგივე ტომი იყო და მათი სამეტყველო ენა ქართული, რატომ გაუხეშდა და დამდაბლდა დედანში „შუშანიკის წამების“ V საუკენეში „დამწერი“ ქართული ენა მდაბიო ენამდე?**

**– თუ პეტრე იბერის მშობლიური ენა ქართული იყო, რატომ გააყოლეს 11 წლის ყრმას ბიზანტიაში, მაინცდამაინც იოანე ლაზი (იბერი), რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდა (იხ. შ. ნუცუბიძე, პეტრე იბერი და ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობა)? ნუთუ ქართლში ვერ მოიძებნა მშობლიური ქართული ენის ლაზზე უკეთ მცოდნე?**

**– თუ ქართული ენა ფარნავაზისა და უფრო ადრინდელი დროიდან სახელმწიფო და სამწერლობო ენა იყო, ხოლო ე.წ. მეგრული ენა მისი კილოკავი, უკეთეს შემთხვევაში, დიალექტი, საიდან და როგორ განუვითარდა „დიალექტს“ ძირეულ ენაზე მრავალჯერ მეტი სააფიქსაციო საშუალებები და, შესაბამისად, რამდენიმე ათასჯერ მეტი ლექსიკური მარაგი?**

**– თუ იოანე ზოსიმეს მიერ „გადმოჩხიბული“ თხზულება ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ დედანში, მართლაც, ასეთი სათაურით და „მე-3 ათასწლეულის შუა პერიოდიდან დაწინაურებული“ (მ. ლორთქიფანიძის მიხედვით) ქართული ენის მისამართით იყო დაწერილი და არა XI საუკუნის დასაწყისში (1008 წ.) ნამდვილად დაწუნებულ-უარყოფილი იბერიული ენის მისამართით და ამას ენასა სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან, რატომ ამტკიცებს თვით ე.წ. ქართული ანბანი (მხედრულიცა და ასომთავრულიც) თავის არა ქართლურ, არამედ კოლხურ-იბერიულ წარმომავლობას? რატომ ვერ ხსნის ქართული ენა ტერმინის ლაზარე ეტიმოლოგიას და ქართული ენა „...შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული,...“ რა დროიდან, რისთვის და ვისგან იქნა დაწუნებული?**

ბატონო თამაზ, თქვენი დონის პიროვნებისაგან მიკვირს, როგორ გაგტკბობია დავით აღმაშენებლისგან ეპარქიის გარყვნისთვის გაკრეჭილი რუის-ურბნისის ეპისკოპოსის ლეონტი მროველის მიერ შეთხზული, თუ მის სახელს ამოფარებული სომეხი ავტორის ზღაპარი არარსებული ქუჯი-ფარნავაზის ურთიერთობაზე და იბერიული ენის ზერელედ მცოდნე, საუკუნეების განმავლობაში დეზინფორმირებულ-დაგეშილ-გაწვრთნილი, დამახინჯებული და გარყვნილი ისტორიით ტვინზომბირებული მღვდლების გამონათქვამები, რომ თქვენთვის დაუვიწყებია საქართველოში ყველაზე დიდი ავტორიტეტის – ივანე ჯავახიშვილის ჰიპოთეზა: **„ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველ ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნის, არამედ მეგრულ-ლაზურ შტოს, ან სვანურ შტოს. ამის გამო ქართული ენა-კილოკავების შესწავლას ჩვენი ერის უძველესი წარსულის შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდეც ყოველთვის“.**

ბატონო თამაზ, წარმოდგენილი გვაქვს და მეცოდებით, რადგან გვესმის, როგორი შოკისმომგვრელი იქნებოდა თქვენთვის ივანე ჯავახიშვილის ეს ჰიპოთეზა, იბერიიდან ქართლის გამოყოფისა და არმაზის სეპარატისტული სახელმწიფოს შექმნის შესახებ ექვთ. თაყაიშვილის გამოკვლევა და იოანე პეტრიწის მიერ ქართული ენის მდაბიო ენად მოხსენიება, როცა თქვენთვის ესოდენ აღმაფრთოვანებელია ინფორმაციების ვაკუუმის გამო ცდომილი და ტვინზომბირებული მღვდლების მიერ მეგრული ენის დისკრედიტაცია.

ბატონო თამაზ, გაბრაზებულმა, თქვენ ხომ არ ამოხიეთ ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული ჟ-ლ **“მნათობიდან”** (1948. №8) ექვ. თაყაიშვილის სტატია **„როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“,** რომელშიც მხილებულია ლეონტი მროველის ზღაპრის სიცრუე და სხვა სიცრუეები.

რა მიამიტი ყოფილხართ, ბატონო თამაზ! ისე გაუხარებიხართ არარსებული უმცროსი ძმის ეგროსის შთამომავლის ქუჯის მიერ არარსებული უფროსი ძმის ქართლოსის შთამომავლის – ფარნავაზისთვის სამეფო ტახტის დათმობას, რომ არაფრად აგდებთ ქართლოსიანების კაციჭამიებად გამოცხადებას და სომეხი ავტორის მიერ ჩადებულ ნელფეთქებად ბომბს: **„ძვ.წ.აღ. 550 წლამდე ქართლოსიანთა ენა სომხური იყო** (რომელსაც აღიარებდნენ) **და კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები სომეხთა ეთნარქის – ჰაოსის კუთვნილებაო.**

ბატონო თამაზ, **„ცოდვა გამხელილი სჯობია“** და თქვით გულახდილად, თქვენ ე.წ. მეგრელების **„უხეში და არაეკლესიური ენით“** ღვთისმსახურება, შედეგად, მეგრელთა აზროვნების დეგრადაციის საშიშროება გაშფოთებთ, თუ იბერიულ ენაზე მწერლობის განახლებით ფარდა აეხდება ისტორიულ სინამდვილეს და გამოჩნდება ამ ენის ღვთაებრივი წარმოშობა და სიდიადე, და ამით დაიჩრდილება სხვადასხვა უცხო ენათა კონგლომერატი ქართული//**ქართური,** რაც **შერეულს** ნიშნავს (ქართი, ანუ შეერიე).

ნუ ღელავთ ბატონო თამაზ, საოცრად გრამატიზირებულ, მაღალგანვითარებულ, მსოფლიოში აღიარებულ, კლასიკურ ქართულ ენას არავითარი საშიშროება არ ემუქრება ე.წ. მეგრული ენის მხრიდან, პირიქით, ე.წ. მეგრული ენა თავისი პირმშო ე.წ. ქართულის ზრდა-განვითარებისათვის ულევი სალაროა და ესაა გამოსაყენებელი. საშიშროება გარედან გვემუქრება, რადგან, როცა შინ გვაქვს მარგალიტები, უკონტროლოდ შემოგვაქვს უცხოური სიტყვები.

დამშვიდდით, ბატონო თამაზ, ჩვენ ჩვენი განათლებულობის დონით, ნამდვილად, უკმაყოფილო, მაგრამ შედარებით გათვითცნობიერებულ მეგრელებს კარგად გვესმის რა მომაკვდინებელი ტრაგედია იქნება დღეს ე.წ. ქართული ენის წმინდა იბერიული ენით შეცვლა. დიახ, კარგად გვესმის, რომ ეს ბევრად დიდი ტრაგედია იქნება, ვიდრე 1008 წელს იბერთათვის იყო იბერიული ენის ქართულით შეცვლა, არამარტო დანარჩენი ქართველებისათვის, არამედ ე.წ. მეგრელებისთვისაც, რადგან დღეს ქართულ ენაზე არსებული უზარმაზარი ლიტერატურის უგულებელყოფა და დაკონსერვება, სულ რამდენიმე წელიწადში, ისე მოგვიღებს ბოლოს, რომ დედამიწაზე ჩვენი ნატამალი აღარ დარჩება.

ამიტომ, არცაა აუცილებელი და არც პრესტიჟულიც, კაცობრიობის ყველა ენათა დედა – იბერიული ენა, რომელიმე ქვეყნის სახელმწიფო ენა იყოს და არც არავინ ითხოვს ე.წ. მეგრულ ენაზე სკოლებში სწავლებისა და ეკლესიებში ღვთისმსახურების შემოღებას. მაგრამ ნუ დაგვიწესებთ, რა ვთარგმნოთ და რა არა მეგრულად. ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობა, მისი სულის მოთხოვნა და ღვთის ნებაა. ამიტომ, ვისაც შეუძლია, თარგმნოს რაც უნდა, რომ თანდათანობით გამოჩნდეს იბერიული ენის შესაძლებლობა; ვისაც უნდა წაიკითხოს, რაც უნდა, იქიდან მიიღოს რაც უნდა. ეს ყველაფერი ე.წ. ქართველი ერისთვისაა სასარგებლო და კაცობრიობისთვისაც.

რაც შეეხება მავანთა სურვილს, რომ **„მეგრელებს არასოდეს გვქონია დამწერლობა მეგრულ ენაზე, იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ ყოფილა: სამეგრელოს ხალხს ქართული დამწერლობაცა და ქართული ენაც თავის ღვიძლ ანბანად და თავის დედა ენად მიაჩნია და ამავე ენაზე აღავლენდა უფლისადმი ხოტბას“.** ესაა მავანთა სურვილს მორგებული და მაამებელი სიცრუე, რომელმაც სირცხვილით უნდა დაწვას მეცნიერული ჭეშმარიტების მსახური კაცი, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც მეცნიერებაში პოლიტიკა ერევა და ჭეშმარიტებას უგულებელჰყოფს, იქ მეცნიერებაც დათრგუნულია და პოლიტიკაც ბრიყვული, ამიტომ ქვეყანაც ისეთ მდგომარეობაშია, როგორშიც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება.

დღეს, რაც ქართველებს დამწერლობა გაგვაჩნია, მხედრული და ასომთავრული, იბერიული წარმოშობისაა (იხ. ჩვენი „ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“) და ამიტომაცაა იგი ე.წ. მეგრელთათვის ღვიძლი ანბანი. ხოლო რატომაა ე.წ. ქართული ენა ე.წ. მეგრელთათვის უფრო მშობლიური, ვიდრე დანარჩენი ქართველებისათვის, ზემოთ მოგახსენეთ.

რაც შეეხება ენათა ეკლესიურობას და ქართულის მაღალეკლესიურობას, ხოლო ამისთვის ე.წ. მეგრულის უვარგისობას, ეს დღეს ასე გამოიყურება, რადგან ათი საუკუნეა, რაც იბერიულ ენას სამწერლობო და სახელმწიფო ენის სტატუსი ჩამოერთვა.

ენას და მეტყველებას წრთვნა უნდა, რომ ორატორის გამოსვლა ყურს ეამებოდეს და დღეს ე.წ. მეგრელებს გვიჭირს ფართო საზოგადოებაში ამ ენაზე სიტყვის წარმოთქმა, არა იმიტომ, რომ იბერიული ენა გაუმართავია, არამედ იმიტომ, რომ ამ ენაზე მეტყველების წრთობა 10 საუკუნეა რაც აკრძალულია, თორემ, განა დაიწუნება კოლხეთში ბერძენ სტრატეგოსთა მიერ, 554 წელს, გუბაზ მეფის მკვლელობის გამო, გამართულ სახალხო კრებაზე ორატორების – აიეტისა და ფარტაზის გამოსვლა?

ბატონო თამაზ, არ მითხრათ ახლა, ისინი ბერძნულ, ან ქართულ ენაზე გამოდიოდნენ იბერი საზოგადოების წინაშეო.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი**

# სიძულვილი სიძულვილის წილ! – ჩიორა თაქთაქიშვილს თავს დაესხნენ

კოჰაბიტაციისაგან იმედგაცრუებული ქართველი ხალხი ხელისუფლებისაგან რომ ვერ ეღირსა სამართლიანობის აღდგენას, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, თავად ცდილობს უიმედოდ დაკარგული სამართლიანობის დაკანონებას. ნურავინ ჩამითვლის, რომ ძალადობის, მით უმეტეს ქალზე ფიზიკური ძალადობის მომხრე ვარ, მაგრამ როცა იცი, რომ დამნაშავე ხარ ერის წინაშე და მხოლოდ ამერიკელი და ევროპელი ლიბერასტების თავგამოდების გამო დადიხარ დაუსჯელი, არ უნდა ირწმუნო საკუთარი **“სიმართლე”** და ენის ტარტალს უნდა მოუკლო, თორემ შენგან განაწამები ხალხი ყოველთვის არ მოგითმენს და ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ შეიძლება დანაც გამოგირიოს მუცელში.

ნაციონალების მაგალითზე ვრწმუნდები, რომ სადისტები მაზოხისტებიც არიან და ერთმაირ სიამოვნებას იღებენ მაშინ, როცა სხვებს ცემენ და აწამებენ და მაშინაც, როცა მათ სხვები უბრაგუნებენ გვერდებში! სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ ჩიორა თაქთაქიშვილმა ჭკუა ვერ ისწავლა მაშინ, როცა საჯარო ბიბლიოთეკასთან ცხვირი გაუტეხეს და მაინც აღმოჩნდა გახვეული ახალ სკანდალში, სადაც კიდევ **“დაიმსახურა”** რამდენიმე მუჯლუგუნი.

ამას წინათ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უცნობი პირები ტელეარხ **“რუსთავი-2”**-ის გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ, როცა ოპერატორი და ჟურნალისტი ინტერვიუს იწერდნენ საპარლამენტო უმცირესობის წევრთან **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან”** ჩიორა თაქთაქიშვილთან. ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, თავდამსხმელი მამაკაცი დაკავებულია.

ინფორმაციას პარლამენტის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი **“ფეისბუქის”** მეშვეობით ავრცელებს. მისი თქმით, თავდამსხმელი განგებ მივიდა მათთან ინტერვიუს ჩაწერის დროს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დეპუტატსა და ჟურნალისტებს, შემდეგ კი ოპერატორს სასტიკად სცემა. ჩიორა თაქთაქიშვილის სიტყვებით, თავდასხმაში ქალებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც ცდილობდნენ გაეკავებინათ და ტელეფონები წაერთმიათ მისთვის და ჟურნალისტისთვის, რათა მათ ფოტოები არ გადაეღოთ.

**“ამ წვერიანმა ველურმა აეროპორტში მე და “რუსთავი 2”-ის ჟურნალისტს და ოპერატორს გვაგინა, სპეციალურად ამ მიზნით მოვიდა ჩვენთან და მერე სასტიკად სცემა ოპერატორს!**

**და ეს ქალები კიდევ გვეცნენ მე და ჟურნალისტს, ხელებს გვიკავებდნენ, რომ ტელეფონი წაერთმიათ და სურათი არ გადაგვეღო! ამ ნაძირალამ სასტიკად ცემა ოპერატორი. საშინლად ვგრძნობ თავს, ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდნენ ჟურნალისტები! თან რის გამო? რომ ინტერვიუს იღებდნენ. ეს არის მათი დანაშაული?**

**ახლა დაკავებული არიან ეს ველურები.**

**მე კარგად ვარ! არ ინერვიულოთ”,** – წერს ჩიორა თაქთაქიშვილი.

როგორც ეთნიკურად არაქართველ უტიფარ ნაციონალებს ჩვევიათ, მათ პოსტებში არაფერია თქმული რიგითი მოქალაქეების ამგვარი აგრესიის მიზეზების შესახებ, რადგან ფაქტია, რომ ძალაუფლებას მოწყურებულ ნაციონალებს ახლა სურთ წამებულ წმინდანებად მოგვაჩვენონ თავი და მაღალპროფესიულად მიდიან ბინძურ პროვოკაცებზე, რათა საზოგადოების წინაშე ქვეყნის მმართველი ძალის ძალადობის მსხვერპლად წარმოდგნენ. შეიძლება მათ მიერ მოქრთამულ ევროამერიკელებს მართლაც აჯერებენ საკუთარ **“სიმართლეში”,** მაგრამ ნუთუ კიდევ ვერ შეიგნეს, რომ ქართველი ხალხის მათდამი ზიზღის მიზეზები თავად არიან და რისხვის თავიდან ასაცილებლად, სპეციალური დაცვის გარეშე, საერთოდ არ უნდა გამოჩნდნენ ქუჩებში, არამც თუ ენა გამოგვიყონ და გვაღიზიანონ.

ვანუგეშებ ჩიორა თაქთაქიშვილსა და კორცხელში თუ სხვაგან მიბეგვილ მისნაირ სირქალა თუ სირკაცა ნაცზონდერებს, მაგრამ ერთი სიმართლე მაინც უნდა ვუთხრა მათ დასისხლიანებულ ცხვირ-პირში: მხოლოდ მათნაირი ცრუპენტელები და პოლიტიკური არარაობები თუ ინერვიულებენ პროვოკატორების ამგვარი მდგომარეობით – ვაითუ პროვოკაციების გაგრძელება ვერ შეძლონ არჩევნებამდეო, თორემ ნორმალურ საზოგადოებას მხოლოდ თუ გაეხარდება, რომ ამგვარი ნაცდაშნაკები და ზონდერქალები გარკვეული ხნით მაინც მოშორდებიან ტელესივრცეს, რათა ნერვები აღარ აუშალონ ქართულ ღირსეულ საზოგადოებას.

**რ. შალამბერიძე**

# SOS – საფრთხე კარსაა მომდგარი!!!



*ბატონო როლანდ, დიდ საფრთხეშია ჩემი ქალაქი და ქვეყანაც. ფოთის ნავსადგურის გასხვისების შემდეგ მისმა ადმინისტრაციამ არჩია განდგომოდა ქალაქს და ეწარმოებინა კარჩაკეტილი საქმიანობა. შედეგად, გარდა სატვირთოსი, ნავსადგურში არ შედის არც ერთი სხვა დანიშნულების გემი, გაუქმდა საზღვაო ვაგზალი, საზოგადოებრივი აზრის დარბაზის ძალისხმევით ის გადაურჩა დანგრევას. ფოთელები ვამაყობდით, რომ ფოთს საზღვაო კარიბჭით ახსენებდნენ ყველგან, კარიბჭისაგან კი დღეს „ჭიშკარიც” არ არის დარჩენილი.*

*საზოგადოებრივი აზრის დარბაზი განაგრძობს უშეღავათო ბრძოლას ნავსადგურის გადასარჩენად და მის ხალხისა და ქვეყნის სამსხურში კვლავ დასაბრუნებლად.*

*ბატონო როლანდ,*

*მიმდინარე წლის 6 ივნისს ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის საბჭოს სხდომაზე მიღებული იქნა მიმართვის ტექსტი ფოთის საღვაო ნავსადგურის გენერალური დირექტორის ბატონ კლაუს ჰოლმ ლოურსენის მიმართ, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ფოთის პორტის გასხვისების შედეგად შექმნილი მდგომარეობა.*

*თქვენი მამულიშვილური პოზიციის გათვალისწინებით, გთხოვთ თქვენი მადლიანი სიტყვა შეგვაწიოთ, გამოაქვეყნოთ მიმართვის ტექსტი და ამით მხარი დაგვიჭიროთ ჩვენს სამართლიან ბრძოლაში.*

*თქვენს მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.*

*წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.*

*პატივისცემით,*

**ომარ ხუხუნი**

**ფოთის საზოგადოებრივი დარბაზის თავმჯდომარე**

## ბატონო კლაუს!

საზოგადოებრივი აზრის დარბაზი ფოთელების სახელით თქვენსა და კოლექტივის მიმართ გამოვთქვამთ პატივისცემას და მეგობრულ დამოკიდებულებას. საუკუნეების განმავლობაში ქალაქი და ნავსადგური ერთიანი მცნება, ერთიმეორესაგან განუყოფელი ნაწილი იყო. თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ 1858 წელს ფოთი გამოცხადდა არა მხოლოდ ნავსადგურად, არამედ ქალაქი ნავსადგურად. ასეთი ქალაქები მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია და ჩვენი ქალაქი ყოველთვის ღირსეულად ატარებდა ამ სტატუსს. ეს სტატუსი, ეს ერთიანობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

დღეს ჩვენ არ გვექნება საუბარი იმის თაობაზე რატომ და როგორ გასხვისდა ნავსადგური, ვინ რა დანაშაული ჩაიდინა მის გასხვისებისას, როგორ დაირღვა ქვეყანაში ყველა არსებული კანონები. ეს საკითხები სამსჯელოდ სხვა დროისთვის გადავდოთ, უმჯობესია ისე ავაწყოთ ურთიერთობანი, რომ ამ საკითხებს საერთოდ არ მივუბრუნდეთ. (ისე, ცნობისათვის, ნავსადგურის გასხვისებისას დაშვებულ შეცდომებზე, დარღვევებსა და ჩადენილ დანაშაულზე მასალები დიდი ხანია საქართველოს პროკურატურაში არის გადაგზავნილი).

ჩვენი მიზანია, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მივაღწიოთ იმას, რომ დამოკიდებულება ქალაქსა და ნავსადგურს შორის იყოს კეთილი განწყობის, ურთიერთ პატივისცემის, ურთიერთ ხელშეწყობისა და თუ შევძელით ამდენი, თბილი და მეგობრულიც კი. ფოთელები მზად ვართ ასეთი ურთიერთობებისათვის, ეს ჩვენი შეუვალი ეროვნული ნიშანთვისებაა.

ეხლა ძირითადი საკითხი, რაზედაც გვსურს, ბატონო კლაუს, თქვენი ყურადღების გამახვილება.

ოდითგან, ფოთის ნავსადგურში საზღვაო ვაგზალსა და მეზღვაურთა კლუბს შორის არსებული ტერიტორია იყო საერთო საქალაქო მნიშვნელობის და ამ ტერიტორაზე განლაგებული ათიოდე საქალაქო ორგანიზაციას მიჩნეული ჰქონდა თავისი ადგილსამყოფელი, დანარჩენ ტერიტორიას კი, საჭიროების შემთხვევაში, თავისი მიზნების განსახორციელებლად შეუფერხებლად იყენებდნენ თვითონაც და იყენებდა ქალაქიც.

აქ განლაგებულია ნავსადგურელთა დასვენების კერა, მეზღვაურთა საქალაქო კლუბი (ამ შენობას თქვენ დღეს სხვა მიზნისთვის იყენებთ). აქ იდგა ნავსადგურის დამაარსებლის ნიკო ნიკოლაძის ძეგლი, სადაც ტარდებოდა საქალაქო საზეიმო შეკრებები თუ სხვა ღონისძიებები. ეს ძეგლი ეხლა სხვაგანაა გადატანილი.

აქ შემოდიოდა რკინიგზის ლიანდაგი და იყო რკინიგზის საქალაქო ბაქანი, და რაც ყველაზე მთავარია, აქ შემოდის ქალაქის მთავარი სატრანსპორტო გზა (დავით აღმაშენებლის პროსპექტი), რომელიც ზღვის პირთან თავდება და ამ ტერიტორიას მთავრობის კანონით ეწოდება ფოთის სატრანსპორტო ზონა-2.

ამ ტერიტორიის გასხვისება-გასაჩუქრება ყოვლად შეუძლებელია კანონის შეცვლის გარეშე. კანონი კი შეცვლილი არ არის. უფრო მეტიც, ეს ტერიტორია ნავსადგურს გადაეცა 2008 წელს, მართალია, თუნდაც უკანონოდ გადმოგეცათ, მაგრამ მაინც გადმოგეცათ და ეს მომხდარი ფაქტია, ხოლო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის 59 დადგენილებს საფუძველზე (პუნქტი 14) ეს ტერიტორია კვლავ დამტკიცებულია ფოთის საქალაქო სატრანსპორტო ზონა 2-ად.

როგორ გავიგოთ ეს შეუსაბამობა? თუ მთავრობამ არ იცის რას აკეთებს? იბადება კითხვა, ვის ინტერესებშია აქ ჭეშმარიტების დადგენა? რატომ დღემდე დუმს და არაფერს ამბობს გნებავთ ნავსადგურის, გნებავთ ადგილობრივი ხელისუფლება? სწორედ ეს ის ტერიტორიაა, თქვენ რომ მავთულხლართით შემოღობეთ და მას **სარეჟიმო ტერიტორია** უწოდეთ. რა უფლებით, ვისი ნებართვით?

კიდევ უფრო საინტერესოა ამ ტერიტორიაზე არსებული საზღვაო ვაგზალთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია. ენციკლოპედიური ჭეშმარიტებაა, რომ **„საზღვაო ვაგზალი, როგორც წესი, არის საერთო საქალაქო მნიშვნელობის უნიკალური ობიექტი”** (ამონარიდი დიდი საბჭოთა ენციკლოპედიიდან. ტ. XXI გვ. 544-595 და ტ. XX გვ. 377) და არა ერთი რომელიმე კერძო ფირმის საკუთრება. გარდა ამისა, მას უნდა გააჩნდეს მომსახურების სათანადო პირობები (გემმისადგომები, მოხერხებული მისასვლელი გზები, მგზავრთა მომსახურების და ტვირთის დამუშავების სათანადო ტერიტორია და კიდევ ბევრი სხვა რამ). და ეს არა მარტო მსოფლიო პრაქტიკაა, არამედ თანდაყოლილი პირობებია საზღვაო ვაგზლის არსებობისათვის.

ფოთის ნავსადგურის პირობებში ეს ყველაფერი დარღვეული და განადგურებულია, ნავსადგურის ადმინისტრაციის მხრიდან ადგილი აქვს თვითნებობას და ფოთელების ინტერესების სრულ იგნორირებას, რაც ხალხის გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს.

ექვსი თვეა გასული, რაც სასამართლო პროცესი წააგეთ და ნაცვლად აღდგენისა ხელს უწყობთ მავანთ, რათა ვაგზლის შენობა უფრო განიავდეს და უსახური გახდეს.

ფოთელებს გვეგონა, რომ სიტუაცია ნელ-ნელა განელდებოდა და დალაგდებოდა, მაგრამ ხდება პირიქით, ნავსადგურის ხელმძღვანელობის მხრიდან ფოთელთა ინტერესების სრულ იგნორირებას ვაწყდებით. ეს ჩვენთვის საწყენიც არის და მიუღებელიც, რამაც შეიძლება სხვა უკუქცევადი პროცესები გამოიწვიოს.

ბატონო კლაუს! რას გვირჩევთ, როგორ შევეგუოთ ფოთელები იმას, რომ საზღვაო ვაგზალი არ ფუნქციონირებს და ნაგავსაყრელად გვიქციეთ, ფოთში არ შემოდის სამგზავრო გემები და საპორტო ქალაქის მკვიდრნი მოწყვეტილი ვართ გემით მგზავრობას, დაგვინგრიეთ ფოთელებისათვის (და არა მარტო ფოთელებისათვის) ზღვის პირას განლაგებული ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი მშვენიერი ბულვარი, მუსიკალური შადრევნით და მხატვრული მოზაიკით მოპირკეთებული გზებით, სადაც ასწლოვანი პალმები იდგა. საღამოობით ათასობით ხალხი პატარა ბავშვებით გამოდიოდა ზღვის პირას დასასვენებლად, გასაგრილებლად, სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად, ანკესით სათევზაოდ, რესტორანში და კაფეებში პირის გასასველებლად.

მოყვარულ მეთევზეებს აუკრძალეთ ანკესით თევზაობა ნავსადგურის სამხრეთ მოლის გარე პერიმეტრზე. ეს ხომ საერთო სარგებლობის ზონაა? განაწყენებულები დადიან, უკვე მერამდენე წელია, მოყვარული მეთევზეები, ბევრმა ლუკმა-პური და სარჩო დაკარგა. რისთვის, რა დაგიშავათ ამ ხალხმა?

სამხრეთ მოლთან დაკავშირებით ისიც აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის 2009 წლის 15 ივნისს 308 ბრძანების შესაბამისად **„კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“** დაერიცხა ქონების გადასახადი 587.746 ლარი, რომლის გადახდასაც თავს ბოროტად არიდებთ და ქალაქის ისედაც მწირ ბიუჯეტს სერიოზულად აზარალებთ. მალე ეს თუ არ გამოსწორდა, საქმე, ალბათ, სასამართლომდე მივა.

კიდევ ერთი უმწვავესი საკითხი. ინვესტორს ვალდებულება აქვს აღებული ნავსადგურში 2.000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნის თაობაზე. დღევანდელი მონაცემებით ნავსადგურში პირიქით, ყოველთვიურად და ყოველდღიურადაც ამცირებთ კადრებს. სულ ახალი ინფორმაციით კიდევ 100 კაცი შეამცირეთ. შემცირებულთა რიცხვი უკვე 6-7 ასეულს გადასცდა, და მიდის ხომ კვალიფიციური კადრები, რაც მეტად მტკივნეულად აისახება მოსახლეობაში. გასაგებია საწარმო საჭიროება, მიმდინარე წარმოების განვითარების ევოლუციური პროცესი, მაგრამ კადრებს სხვაგვარად გაფრთხილება სჭირდება.

აი რამდენი მოუგვარებელი და არასწორად გადაწყვეტილი საკითხი მოგვიგროვდა.

ახლა შევაჯამოთ, ნავსადგურის გასხვისებით რა სიკეთე მივიღეთ ფოთელებმა: მავთულით შემოხლართული ეგრეთ წოდებული **„სარეჟიმო ზონა”?**

სამწუხაროდ კარგს ვერაფერს ვერ ვიხსენებთ ფოთელები.

ბატონო კლაუს, რა უფლებით, ვისი განკარგულებით ფეხს არ გვადგმევინებთ ფოთელებს ჩვენსავე მიწაზე, ახლოდან დანახვაც კი მოგვანატრეთ. თუ მართლა ჰგონია ნავსადგურის ხელმძღვანელობას, რომ ფოთელები დაუსრულებლად იმ გადასასვლელი ხიდით ვივლით, რომელიც საცოდავად მოახლაფორთეთ და კინაღამ ხალხიც იმსხვერპლეთ.

სასამართლო პროცესის წაგების შემდეგ ნავსადგურის ხელმძღვანელობას ერთხელაც როგორ არ გაუჩნდა კითხვა რა უნდა უყოს საზღვაო ვაგზლის შენობას, როგორ არ ჰკითხა ქალაქის ხელმძღვანელობას, როგორია მისი მოსაზრებანი.

აქედან ნათლად ჩანს ნავსადგურის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ქალაქისადმი, ფოთელებისადმი.

თუ ჩვენც თქვენსავით ადეკვატური გავხდით, მაშინ კვლავ სასამართლოში მოგვიწევს სამართლის ძებნა. (და ამ პროცესსაც უპირობოდ მოვიგებთ იმდენი სასარგებლო მტკიცებულებანი გაგვაჩნია). უფრო საშიში სხვა არის, ჩვენდა დაუკითხავად ხალხმა თვითონ არ დაიწყოს სამართლის ძებნა. ჩვენი მონაცემებით ძალიან დიდია ნავსადგურის ხელმძღვანელობის საქმიანობით უკმაყოფილოთა რიცხვი. ეს უფრო მძიმე პროცესი იქნება.

დღევანდელ არსებულ მდგომარეობასთან შეგუება რომ არ იქნება, ეს ნათელი და ცხადზე ცხადია.

დარბაზს მიაჩნია, რომ ამ ვითარების შექმნაში გარკვეული ბრალი ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოსაც მიუძღვის, რომელმაც თავიდანვე არ წაუყენა სათანადო მოთხოვნები ნავსადგურის ხელისუფლებას და ის თავის ნებაზე მიუშვა. თავიდანვე არ დამყარდა ის ურთიერთობა, რომელიც სასარგებლო იქნებოდა ორივე მხარისათვის. ან საქართველოს მთავრობამ როგორ მიატოვა ასე უპატრონოდ ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტი, რომ ერთხელაც არ იკითხა რა ხდება მის მიერ გასხვისებულ ნავსადგურში, როგორ სრულდება ორმხრივი ხელშეკრულება, ან ეს ხელშეკრულება რატომ არის ასე გასაიდუმლოებული და ცხრაკლიტულს იქით გადამალული, რომ მის ასავალ-დასავალს ვერ მივაკვლიეთ ვერსად? რა პასუხი გაქვთ ამ კითხვაზე კორპორაციულ ხელმძღვანელობას, ან გნებავთ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს? რატომ გვიქციეთ ფოთელებს პანაცეად მარტივი საჯარო ინფორმაციის მიღება? გეკითხებით ფოთელები: რაშია საქმე?

ვშიშობთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყველას მოუწევს თავისი პოზიციებიდან. ეს ხალხის მოთხოვნაა.

ინვესტირება იმას ნიშნავს, რომ ობიექტი გადასცე იმას, ვისაც მეტი საშუალება და შესაძლებლობა აქვს და გააკეთებინო ის, რისი გაკეთების ძალაც შენ არ შეგწევდა და აქედან სარგებელი ნახოს ორივე მხარემ.

ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ ფოთის ნავსადგური სამუდამო მფლობელობაში აქვს მიღებული და რაც მას უნდა იმას გააკეთებს იქ?

არა, ბატონებო, ეს კარაქი არ არის მაღაზიაში ყიდვისას ჩამოაჭრევინო რამდენიც გინდა და შენი ნებისამებრ მოიხმარო.

ფოთის ნავსადგური, **ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი,** საქართველოს განუყოფელი ნაწილია და არავის მივცემთ უფლებას ხელჰყოს მისი ქალაქთან ერთიანობა.

ამ ქვეყანაში, ისევე როგორც ყველა სხვაგან, ყველაფერი ხალხის კეთილდღეობისათვის უნდა კეთდებოდეს, ხალხის ნება და სურვილი უნდა სრულდებოდეს. ფოთი და ფოთელები ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში გამონაკლისი ვერ ვიქნებით.

გთხოვთ ყურად იღოთ ჩვენი მოთხოვნები და და სათანადოდ შეაფასოთ შექმნილი მდგომარეობა.

გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს სულსწრაფვაზე.

ამასთან უფრო მომგებიანი ხომ არ იქნება მოეწყოს ქალაქის საზოგადოებასთან ქალაქისა და ნავსადგურის ხელმძღვანელობის შეხვედრა. მისი კარგად და გონივრულად მომზადების შემთხვევაში ბევრ საკითხს ნათელი უფრო მოეფინება და შესაძლებელია ის მხარეებისათვის უფრო სასარგებლო გახდეს?

გთხოვთ დაფიქრდეთ ამაზეც.

კეთილი სურვილებით:

**ომარ ხუხუნი**

**ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე**

*P.S. აღნიშნული წერილის ტექსტი მიღებული და დამტკიცებულია ქ. ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №5, 2016 წლის 6 ივნისი). წერილს კენჭი უყარა დარბაზის საბჭოს დამსწრე 14-ვე წევრმა. დარბაზის სხდომას ესწრებოდა 40-მდე მოწვეული პირი (სია ოქმს თან ერთვის).*

*დარბაზის გადაწყვეტილებით წერილის ასლი მხარდასაჭერად ეგზავნება:*

*– ქართული ერთობის დარბაზს;*

*– თბილისში ფოთელების საზოგადოებას;*

*გაზეთების: „საქართველო რესპუბლიკის”, „კვირის პალიტრის”, „ასავალ-დასავლის“, „საქართველო და მსოფლიოს“, „საერო გაზეთის“, „ილორის“, „ქრონიკა +“, „ვერსიის“, „ფოთის ნიკოლაძის გზით“, რედაქციებს.*

# უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

როცა ვსაუბრობთ უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობის შესახებ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ვგულისხმობთ მეგრულ ენას, რომლის ლექსიკამ გაუძლო ათასწლეულებსაც კი, რაშიც დაკვირებული მკითხველი ადვილად დარწმუნდება ლექსიკონში მოცემული სიტყვების ჩვენეული ეტიმოლოგიების განხილვისას. ხოლო რაც შეეხება ლაზურს, ეს იგივე მეგრულია და რადგანაც ის იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოწყვეტილი მშობლიურ კერას და განიცადა ბერძნული და თურქული ენების გავლენა, ამიტომ მეგრული და ლაზური დღეს წარმოადგენენ ერთი ენის ორ კილოკავს. საინტერესოა ერთ-ერთი ცნობილი გერმანელი ეთნოგრაფის ვოლფგანგ ფიურსტენის მოსაზრება, რომ თუ მეგრულსა და ლაზურს გავაერთიანებთ, მაშინ შესაძლებელი გახდება ძველი კოლხური ენის აღდგენაო. მოვიყვანოთ მცირე ამონარიდი მასთან ინტერვიუდან (ესაუბრა ბედია ლება), რომელიც გამოქვეყნებულია კულტურულ-ეთნოგრაფიული ჟურნალი **„ოგნის“** (**„სკანი ნენა“**, 1994 წლის აგვისტოს ნომერში:

**“...ქართველ მეცნიერთა მიერ ლაზურისა და მეგრულის დამოუკიდებელ ენებად არცნობა და ამ ენების ქართულის დიალექტებად გამოცხადება ხელოვნურად გამოიყურება. ჩემი აზრით, დღეს ორი დამოუკიდებელი ენის არსებობას უნდა დავეთანხმოთ. ამ ენების თავისუფალ გარემოში თავისუფალი გამოყენების პირობებში შესაძლებელი იქნებოდა საერთო ენობრივი განვითარება, ვინაიდან ლექსიკური მარაგის ერთი ნაწილი ლაზურშია დაცული, მეორე ნაწილი – მეგრულში, თავისუფალი განვითარების პირობებში საერთო, ძველი კოლხური ენა კვლავ აღორძინდებოდა. რა თქმა უნდა, ეს შესაძლო პროცესია, ამ ორ ენას შორის ურთიერთობა მათი განვითარებისათვის აუცილებელია“.** (გაზეთი **“აღდგომა“** 22-28 ნოემბერი, 1995 წ).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თვითონ ლაზები თვლიან, რომ ისინი მეგრელები იყვნენ. ამის დამადასტურებელი პასაჟები მრავლადაა მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას წიგნში **„ლაზეთი“**, რომელთა, ჩამონათვალს მე ახლა აქ არ მოვიყვან. ამიტომ, როდესაც შემდგომ ვიხმართ ფრაზას **„მეგრული ენა“**, ის ავტომატურად იდენტური იქნება ლაზური ენისთვისაც.

მაშინ, როდესაც საქართველოში ზოგიერთებს მეგრული ენად აღარ მიაჩნიათ და მას ქართულის დიალექტად ან კილოდ განიხილავენ, საჭიროდ ვთვლით ასეთებს შევახსენოთ აკად. ნიკო მარრის გამონათქამი მეგრული ენის შესახებ: **„მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის არც კილო, არც დიალექტი, მაგრამ ამავე დროს მეგრული მჭიდროდ დაკავშირებულია ქართულთან; ქართული ენის ძმა ენა არის და ქართულის მეცნიერულად შესასწავლად, დიახ, საჭიროა მეგრულის გამოწვლილვა”** (ნ.მარრი **„მეგრული ენა“**, ცნ. ფურცელი, 1905, №№1772-73).

აქვე მოვიყვანოთ ამონარიდი შალვა ბერიძის წიგნიდან **„მეგრული (ივერული) ენა“** (ტბილისი, 1920 თ. გვ. 40): **„მეგრულ ენას, ქართულთან მონათესავე ენათა შორის ეწვია რაღაც განსაკუთრებული ბედი. ისეთი ბედი, როგორიც ჰქონდა კავკასიის ენათა შორის არაიაფეტურ ენას – ოსურს, რომლის კვლევა-ძიება უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა ამ ენის შემსწავლელმა მამამთავარმა, პროფ. ვსევოლოდ მილლერმა. ოსური ენა იზიდავდა თავისკენ მეცნიერთა ყურადღებას – როგორც უძველესი ენა ირანული ჯგუფის ენათა შორის და მეგრულის ასე გაფაციცებით შესწავლის მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო, მისი არხაიზმი“.**

სწორედ ეს არქაულობაა მიზეზი იმისა, რომ მეგრული ძირები მოიპოვება სიტყვებსა და ტოპონიმებში სამეგრელოდან (და სხვათაშორის, საქართველოდანაც, რადგან ის დღეისათვის აზერბაიჯანის შემადგენელი ნაწილია) ისეთ დაშორებულ რეგიონში, როგორც საინგილოა. შესაძლებელია, ასეთ დასკვნაში არქაულობა არაფერ შუაში არ იყოს, მაგრამ რაც წინა წინადადებაში ჩამოვაყალიბე, რომ ნამდვილად ასეა, ამას ადასტურებს მოსე ჯანაშვილი თავის წიგნში **“საინგილო“** (თბილისი, 1996), საიდანაც მოვიყვანთ ამონარიდებს:

„...ბევრი აქაური სახელები (იგულისხმება საინგილო-ნ.კ.) იგივეა, როგორც იმერეთში, უმეტესად სამეგრელო-აფხაზეთში. აქ მარსანი (სოფ.), იქ მარშანია (გვარი), დახალ-დოხორე (მეგ), თოლი, წკინვა, მოფეხვამაფახ (სვ.), ჰუჭენა-უჭიანა, ბია და მრ. სხვა საერთოა საინგილოსა და საიმერეთოში საზოგადოდ. ეს ცოტაა კიდევ. აქაურს უმთავრეს მდინარესა და სამეგრელოს უპირველეს მდინარეს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ: ეგრის-წყალი ანუ ეგრიაგრი (იგივე ენგური-ინგური და ინგირი, მეგრ. გამოთქმა).

ყველა ამის გამო **„ინგილო“** ჩვენ მიგვაჩნია იმავე ინგირ-ად ე.ი. ეგრელად და ანუ იმ ხალხად, რომელსაც ბერძნის მწერლები (მე-V ს.ქრ.წ) იხსენიებენ ფოთი-სამეგრელოს მოსახლედ და უწოდებენ ჰენიოხ-ად, ე.ი. **“მეეტლედ“, “მე-ჰუნეედ“** (გვ. 62-63). სხვა ადგილებში და წიგნის ბოლოს ლექსიკონში ჯანაშვილს მოჰყავს სიტყვები, რომელთა მეგრული წარმოშობა აშკარაა და რომელსაც ავტორი თვითონვე ადასტურებს. წიგნის 167-ე გვერდზე გვხვდება ასეთი ფრაზა **„ცოლ-შულ გიცოცხლას“** და არა „გიცოცხლოს“, რაც აშკარა კოლხიზმია. მეგრელები იტყვიან: გიცოცხლას, გოგახარას (გაგახაროს), მოგირდას (გაგიზარდოს) და ა.შ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საინგილოში, როგორც ზეპირსიტყვიერებაში, ასევე ტოპონიმებში აშკარაა მეგრული ენის გავლენა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ რეგიონში დროთა განმავლობაში მიმდინარე ქართიზაციის შედეგად მივიღეთ თანამედროვე ინგილოური დიალექტი.

იმ პერიოდში, როდესაც მოსე ჯანაშვილი მოღვაწეობდა აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდში უმოღვაწია ვინმე დადიანს მიხეილ (მიშო) მელიტონის-ძეს, რომლის შესახებაც შევიტყვეთ ახლახან გამოსული წიგნიდან **„მეგრული საკითხი“** (ავტორები ვახტანგ გვარამია და გიორგი ციციშვილი, თბილისი, 2009).

მ. დადიანის ოპონენტები 1931 წელს მთავრობას სწერენ შემდეგ წერილს (გვ. 136-137): **„სამეგრელოს „ისტორიკოსს“ მ. დადიანს გააჩნია გამოუქვეყნებელი ნაშრომი „ფილოსოფია და უბრძნესი ენა“. მასში დადიანი ადიდებს მეგრულ ენას, მას უწოდებს „მსოფლიო მარგალიტს“, – ცოდნის ამოუწურავ მარაგს. იგი ერთ ადგილას (გვ.47) წერს, რომ „მეგრული ძველსიტყვაობა პირველ-დაწყებითი ენაა აზიის და აფრიკის ხალხებისათვის“. წიგნში დადიანი მეგრელებს მიიჩნევს ქვეყანაზე „პირველშობილად“, ეყრდნობა სიძველის მკვლევარ ვინმე ი. პროცენკოს და გვარწმუნებს რუსების, უკრაინელების, პოლონელების და რუმინელების კოლხიდიდან (მეგრელებიდან) წარმოშობაში“.**

იმავე გვერდზე (გვ. 137) წერია: **„დადიანი ამტკიცებს, რომ... კაცობრიობის სხვადასხვა ერები თავის წარმოშობას, ღრმა სიძველის წყვდიადით მოცულს, ჩვეულებრივი კვლევისათვის მიუწვდომელს, უნდა ეძებდნენ მეგრული ისტორიის სიღრმეში, მეგრული ისტორიით იწყება ევროპის, აზიისა და აფრიკის ხალხების კულტურულ-პროგრესული გენეზისის მოძრაობის ისტორია“.**

ამის შემდგომ ავტორები ასკვნიან: **„მაშასადამე, მ.დადიანს გააჩნია განათლების ცენზი, დიდი ავტორიტეტი და სამეგრელოს ისტორიისა და ენის საკითხებზე გარკვეული თეორიული ცოდნა. მისი, როგორც ისტორიკოსის და ლინგვისტის შეფასება ამ მწირი, ირონიული და აშკარად გაბიაბრუების მიზანდასახულობის გამოთქმების მიხედვით შეუძლებელია. არც მისი ნაშრომების ნაღდი კვალი ჩანს და არც პროცენკოს ნასიბრძნში იძებნება სამეგრელოს ისტორიის შემცველი სერიოზული გამოკვლევა. მაგრამ ერთი რამ უთუოდ სავარაუდოა. მ. დადიანი იცნობს არა მარტო მეგრული ენის სიძველესა და ვერბალურ სიმდიდრეს, არამედ, აგრეთვე სამეგრელოს ისტორიის იმ წყაროებს, რომელიც ძველი კოლხეთის მითოლოგიისა და მეგრელების ძველი ეგვიპტური, კოპტური წარმოშობის ვერსიას ეფუძნება. მისთვის მიწერილი აზრები, რომ მეგრული ისტორიით იწყება ევროპის, აზიისა და აფრიკის ხალხების კულტურული გენეზისი სულაც არ იწვევს ჩვენს გაკვირვებას. დღესაც იშვიათად როდი გვესმის მსგავსი, მაგრამ ღიმილის მომგვრელი ვერსიები“.**

ჩვენის მხრიდან გვინდა განვაცხადოთ შემდეგი, რომ ჩვენ ყოველგვარი გადაჭარბების მოწინააღმდეგენი ვართ, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ აღნიშნული წიგნის გამოცემა იგეგმებოდა კომუნისტების დროს, გასაგებია ის პათოსი, რომლითაც ისინი შეეგებნენ ამ მოვლენას. თვითონ ავტორები გვიცხადებენ, რომ **„მისი** (მ. დადიანის – ნ.კ.) **როგორც ისტორიკოსისა და ლინგვისტის შეფასება ამ მწირი, ირონიული და აშკარად გაბიაბრუების მიზანდასახულობის გამოთქმების მიხედვით შეუძლებელია“.** მაშ, რაშია საქმე, რა დღესაც კომუნისტები არიან საქართველოში?! და თუ არ არიან რატომ არ გახდა შესაძლებელი ამ წიგნის გამოცემა, რათა მისთვის შეგვეხედა არა კომუნისტური, არამედ დემოკრატიული თვალთახედვით. იქნებ მასში გვეპოვა ისეთი რამეებიც, რაც სხვაგვარი დასკვნის საშუალებას მოგვცემდა.

რაც შეეხება ავტორების განცხადებას, რომ **„დღესაც იშვიათად როდი გვესმის მსგავსი, მაგრამ ღიმილის მომგვრელი ვერსიები“.** რა, ღიმილის მომგვრელია გია კვაშილავას მიერ კოლხურით გაშიფრული **“ფესტოსის დისკო”,** ხაზოვანი დამწერლობა და კრეტული იეროგლიფები, რომელიც დასავლეთში აღიარეს და წიგნებიც კი იწერება მასზე, ხოლო საქართველოში კი სდუმან (**„პირს ლაგამი ზომიერი“** – ი.ჭავჭავაძე), კლიმენტი შელიას მიერ კოლხეთის ისტორიისადმი მიძღვნილი შესანიშნავი წიგნები, ოთარ ქაჯაიასა და ალიო ქობალიას შედგენილი მეგრულ-ქართული ლქსიკონები, მამანტი ძაძამიას მიერ გამოცემული მეგრული ენის შვიდტომეული, ანზორ შონიას, ნათელა ფოფხაძის, კუკური ფიფიას, ბადა სოფიას შესანიშნავი გამოკვლევები, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ერთ შენიშვნას კი მივცემდი პატივცემულებს ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილს, რომ კოპტები ძველი ეგვიპტელები კი არ არიან, ისინი არიან ქრისტიანი ეგვიპტელები.

ახლა კი განვიხილოთ უშუალოდ სიტყვები.

**აგუნა** – მევენახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება. აგუნას რიტუალი საახალწლო და საშემოდგომო დღესასწაულებზე სრულდებოდა, აგუნას სახელზე საახალწლოდ ცხვებოდა ვაზის რქის ან მტევნის ფორმის კვერები (გურიაში ამგვარ კვერს **„აგუნას პურს“** ეძახდნენ). მაღლარ ვაზთან ან მარანში ლოცულობდნენ და ღვთაებას ვაზის ნაყოფიერებას შესთხოვდნენ. შემდეგ იწყებოდა გადაძახება: **„აგუნა, აგუნა, გადმოიარე... ჩვენს მამულში ყურძენი, სხვის მამულში – ფურცელი“...** კლარჯეთში რთველის დროს ვენახში ლხინს მართავდნენ: აკიდოებით შემკული შიშველი ყმაწვილები ფერხულს ცეკვავდნენ. აგუნას კულტს სასტიკად ებრძოდა ქრისტიანული ეკლესია. აგუნას რაჭასა და ლეჩხუმში **„ანგურა“** ეწოდებოდა, სამეგრელოში – **„ჯუჯელია“**, ნართემის, ადიღეურ ეპოსში **„აგუნა“** – საღვთო სასმელის ჭურჭელს აღნიშნავდა აგუნას რიტუალის ზოგიერთი ელემენტი პარალელს ჰპოვებს ფრიგიულ-ბერძნულ-რომაული ღვთაების დიონისეს (ბახუსი) კულტში, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტურ ხანაში. აგუნას კულტი გადმონაშთის სახით საქართველოს ზოგიერთ კუთხეში XIX ს-მდე შემორჩა (გ. ჩიტაია, ენციკლოპედია **„საქართველო“** გვ. 47).

ჩვენი აზრით, სიტყვა **„აგუნა“** უნდა მომდინარეობდეს მეგრული სიტყვიდან **„გუნაფა“**, რაც დამწიფებას ნიშნავს. თითქმის იგივე მნიშვნელობისაა სიტყვა **„გვანაფა“,** რაც გასუქებას ნიშნავს. სწორედ ვაზისა და საზოგადოდ, მოსავლის ნაყოფიერებას შესთხოვდნენ აგუნას.

**ნუგზარ კვაშილავა**

# ზაფხული ივანიშვილმა იყიდა!

## ვითომ ხუმრობაა, რაც აქ წერია?

უკვე ზაფხულია, მაგრამ საქართველოში ამას ნაკლებად გრძნობს ხალხი – დიდი ხანია, ადამიანები უშედეგოდ ნატრობენ მზის სხივებს. ინფორმაცია, რომელსაც ახლა წაიკითხავთ, საიდუმლოდ შეინახეთ და არავის გაანდოთ, რადგან მისმა გამჟღავნებამ, შესაძლოა, თქვენს სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას. როგორც ჩვენს წყაროს **“ნაციონალური მოძრაობის”** ანონიმმა დეპუტატმა განუცხადა, საქართველოს ზაფხული ბიძინა ივანიშვილმა იყიდა. ბიძინა ივანიშვილი ხომ იმითაა გამორჩეული, რომ ყველაფერში ფულს იხდის, სააკიანცისა და მისი ნაცბანდისაგან განსხვავებით, რომლებიც **“პატიოსნად”** – ყოველგვარი ანგარიშსწორების გარეშე ართმევდნენ კანონიერ მფლობელებს მათ კუთვნილ ქონებასა და ფინანსებს!

ივანიშვილი კი ყველაფერს ყიდულობს და ყიდულობს, და რაც მთავარია, ფული არასოდეს ელევა!!!

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ოლიგარქმა ზაფხულის სამივე თვე საკმაოდ დიდ თანხად შეიძინა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსგან და სოლოლაკში, სპეციალურად შექმნილ გიგანტურ კოლბაში ინახავს.

როგორც ნოტარიალურად დამტკიცებულ ნასყიდობის დოკუმენტშია აღნიშნული, შეძენილია 40 გრადუსამდე ჰაერის ტემპერატურა, უღრუბლო ცა, მზის სხივები, მთვარის გალა, ჩიტების ჭიკჭიკი, ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა, ჭრიჭინობელას გულისგამაწვრილებელი ხმა და დილის სუფთა ჰაერი.

ამიტომაც არის საქართველოში, უბრალო მოკვდავთათვის, ყოველი დილა წვიმიანი, ღრუბლიანი, პირქუში და ბნელი. სარფიანად ნაყიდი საქართველოს წილი მზე ივანიშვილმა სოლოლაკის შუშის სასახლეშია გამოკეტილი და მიმართულია მხოლოდ ბერას ოთახებისა და ბიძინა ივანიშვილის ბაღ-ბოსტნებისკენ. აგრეთვე, ცნობილია, რომ მზის სხივების ნაწილი საიმედოდ გადანახულია ბიზნესმენის ახალშეძენილი ტიტასთვისაც, რომელიც ამჟამად აკლიმატიზაციის პროცესშია და ბევრი სხივი ესაჭიროება.

ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ ივანიშვილი მომავალი ზაფხულის კლიმატურ რეზერვებსაც შეიძენს, რომლებსაც რუსეთს მიჰყიდის ციმბირში გადასანაწილებლად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, და ჩრდილოელი მეზობლის ინტერესებს ემსახურება – ამბობს წყარო-დეპუტატი.

როგორ მიხეილ სააკიანცის ბრიგადის ზონდერჟურნალისტი ირმა ნადირაშვილი იუწყება, “ნაციონალური მოძრაობა” ამ ინფორმაციის გასაჯაროებას არჩევნებამდე 1 დღით ადრე გეგმავს და დარწმუნებულია, რომ 9 ოქტომბერს უკვე თავად ჩაუდგება სათავეში 2012 წელს ხელიდან გაშვებულ ესოდენ ნანატრ ხელისუფლებას.

**“ჩვენი მოსვლით დავაბრუნებთ ძველ დიდებას, ზაფხულს, უღრუბლო ცას, მზის სხივებს, მთვარის გალას, ჩიტების ჭიკჭიკს, ბულბულის სტვენას, შაშვის გალობას, ჭრიჭინობელას გულისგამაწვრილებელ ხმას და დილის სუფთა ჰაერს”,**– ერთხმად აცხადებენ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები.

ყველაზე მეტად თურმე ჩიორა თაქთაქიშვილია გახარებული, რადგან მას შემდეგ, რაც საქართველოში ივანიშვილი ჩამოვიდა და ლამის ყველაფერი ჩალის ფასად შეისყიდა, ჩიორა ძველებურად ვეღარ ჭიკჭიკებს.

ამასთანავე, კლიმატის რადიკალური ცვლით ძლიერ შეწუხებული ნაცმაცუნები უკვე იმასაც ეჭვობენ, რომ, შესაძლოა, ქართული ზამთარიც ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა, რადგან საახალწლოდ, თბილისში, მისი ჩამოსვლის შემდეგ, არც თოვლი ყოფილა და არც – ყინვა.

**“ამჯერად ვმუშაობთ იმაზე, რომ დავადგინოთ, იყიდა თუ არა ზამთარიც ბიძინა ივანიშვილმა. გაიხსენეთ, როგორი ამინდები იყო ამ ზამთარს. ჩვენი ინფორმაციით, თოვლისა და ყინვის ნაცვლად, ივანიშვილმა დაბალი ხარისხის მზე და ყინვა რუსეთისგან შეიძინა და ამით გადაგვატარა ზამთრის სეზონი, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ, ვამხელთ მის ვერაგულ რუსულ გეგმებს და ერთხელ და სამუდამოდ დავუსვამთ წერტილს მის ბოგინს ამ ქვეყანაში”,**– ამბობენ ოპოზიციონერი პარლამენტარები.

**ონორე დე პუტატი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# კასიუს მარცელიუს კლეი, იგივე მუჰამედ ალი, იგივე მსოფლიო კრივის ლეგენდა!

*ღმერთმა მოაკითხა თავის განუმეორებელ ჩემპიონს, მშვიდობით, მუჰამედ ალი!*



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

პროფესიული კრივის იმდროინდელი ბოსები გაოცებას ვერ მალავდნენ, ბევრი რამის მნახველები ამ ბიჭის თავდაჯერებულობას ტრაბახად აღიქვამდნენ, თუმცა ისინი მთავარს ვერ ამჩნევდნენ, კლეი თანდათან პოპულარული ხდებოდა, მართალია, ზოგჯერ სასაცილო, მაგრამ მაინც შესამჩნევი და პოპულარული. მასზე უკვე საუბრობდნენ ლუდის ბარებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და არისტოკრატულ სალონებში. ტახტისკენ მიმავალი გზა ფანტასტიკურად სწრაფი გამოდგა; ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ სონი ლისტონმა ყველა პრეტენდენტს მოუგო და მისთვის საინტერესო მოწინააღმდეგე უბრალოდ აღარ დარჩა, იყო მხოლოდ ეს მეტიჩარა და მკვეხარა ზანგი.

თავისდა საუბედუროდ, ლისტონმა ვერ დაინახა, რომ ამ ყოყლოჩინობას ზურგს საკრივო ოსტატობა, უშიშრობა და ახალგაზრდა მხეცის დაუკმაყოფილებელი ინსტინქტი უმაგრებდა. ვერც მართალია, უკვე მობერებულ, მაგრამ მაინც დიდ არჩი მურთან კლეის იოლმა გამარჯვებამ აუხილა თვალი უკვე ჩამოსაგდებად განწირულ ჩემპიონს და 1961 წლის თებერვალში კასიუს კლეი სატიტულო ბრძოლაში სონი ლისტონს ხვდება. კლეის უპირატესობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ მე-7 რაუნდში მოწინააღმდეგის მწვრთნელებმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვეს და მიზეზად მხარის ტრავმა მოიდეს.

22 წლის კასიუს კლეიმ ანჯელო დანდის ყველა დანაპირები აუსრულა, თუმცა გაჩერება არც უფიქრია, განსაკუთრებით რინგს მიღმა აქტიურობდა, გაზეთები მისი სკანდალური გამოსვლებით იყო აჭრელებული; ყველასთვის მოულოდნელად, **„შავი მუსლიმანების"** სექტაში გაწევრიანდა, რელიგია და გვარ-სახელიც გამოიცვალა. ამ დღიდან გამარჯვებებს მუსლიმანი მუჰამედ ალის სახელით აღწევდა.

ალიმ უარი უთხრა პროფესიონალთა ასოციაციის ბოსებს, შეხვედროდა ვინმეს და ტიტული დაეცვა. მას ჯერ სონი ლისტონთან ჰქონდა საბოლოო ანგარიში გასასწორებელი. ასოციაციის პრეზიდენტმა ბობ ევანსმა ალის ტიტული ჩამოართვა. ამასობაში ალიმ უკვე სხვა ასოციაციის ვერსიით რამდენიმე წამში ნოკაუტით დაამარცხა სონი ლისტონი და ეს უკანასკნელი საკრივო არეალიდან სამუდამოდ გაქრა. ამას მოჰყვა სატიტულო გამარჯვებები ფლოიდ პატერსონთან, ზორა ფოლისთან, კანადელ ჯორჯ ჩუვალოსთან, ინგლისელ ჰენრი კუპერთან, ბრაინ ლონდონთან და 1967 წლის 6 თებერვალს მის მაგივრად გაჩემპიონებული ერნი ტერელის ჯერიც დადგა.

გამხეცებულმა ალიმ მოწინააღმდეგე, რამდენიმე რაუნდში, სისხლიან ხორცის მასიურ ნაჭერს დაამგვანა. ყოველი რაუნდის შემდეგ მიდიოდა მასთან და სხვებისაგან შეუმჩნევლად ყურში უჩურჩულებდა: **„ერნი, კიდევ გახსოვს, რა მქვია?"**.

ერნის ტანჯვა მე-15 რაუნდში დასრულდა, ალის მუშტებისგან ნახევრად დაბრმავებულს მოძრაობა აღარ შეეძლო. მუჰამედ ალი მეორედ გაჩემპიონდა, თუმცა ამ ჯერზეც ტახტზე მისი ჯდომა დიდხანს არ გაგრძელებულა. იმხანად ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამს ეომებოდა და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი უძლეველი ჩემპიონი ამერიკელ ჯარისკაცებში პატრიოტიზმის ასამაღლებლად სჭირდებოდათ, რადგან რიგითი ჯარისკაცები კარგად ხედავდნენ ამ ომის უაზრობას და დიდი ხალისით არ დგებოდნენ სამშობლოს დამცველთა სამსახურში. როგორც ეს თავის დროზე ჯეკ დემპსიმ და ჯო ლუისმა გააკეთეს. ალიმ ფიცის მიღებაზე უარი განაცხადა „მე ვიეტნამელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვსო!" სამედიცინო კომისიაზე თავს ისულელებდა, აცხადებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უილიამ შექსპირიაო, ხოლო სიდნეი სადღაც აქვე კანადაში მდებარეობსო, ამბობდა. ეს უკვე მხოლოდ კრივის ასოციაციის კი არა, მთელი ნაციის გამოწვევა იყო.

ბობ ევანსმა მეორედ ჩამოართვა ალის ჩემპიონის ქამარი. ერთი თვის შემდეგ კი სასამართლომ 5 წლით პატიმრობა და 10.000-დოლარიანი ჯარიმა დააკისრა, თუმცა არც ერთ ამ სანქციას განხორციელება არ ეწერა.

ახლა დროის ქრონოლოგიას ცოტა დავარღვევ და მუჰამედ ალის ეპატაჟური ქცევებიდან კიდევ ერთ, მეტად საინტერესოზე გიამბობთ, რომელიც 1978 წელს მოხდა.

1978 წელს, გაგანია ცივი ომის პერიოდში, მუჰამედ ალი საბჭოთა კავშირში სპორტკომიტეტის მიწვევით მოსკოვში ჩავიდა. დილის 5 საათზე გაღვიძებულმა სასტუმრო „მეტროპოლიდან" წითელ მოედნამდე ირბინა, ლენინის მავზოლეუმს მიუახლოვდა და ყარაულის გამოცვლის ცერემონიას დაესწრო.

ეს უკვე საბჭოელებისთვისაც მეტისმეტი იყო – ნახევრად შიშველი ზანგი კომუნისტური კომპოზიციის ცენტრში – წმიდათაწმინდა ადგილზე იყო გამოჭიმული, მაგრამ მისი ჩამოსვლის პოლიტიკური სარჩული იმდენად მაღალი იყო, რომ ალის ამგვარ სითამამეზე ხმა არავის ამოუღია.

შემდეგ იყო შეხვედრა ბრეჟნევთან და ლეონიდ ილიჩმა ალის თავისი წიგნის **"მცირე მიწა"** ეგზემპლარი და საათი აჩუქა. ამის შესახებ სამშობლოში დაბრუნებულმა მოკრივემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ტაშკენტში ორდღიანი ვიზიტისას ალის თან ახლდა ცოლი ვერონიკა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ხელმრუდობითაც გამოირჩეოდა. უზბეკეთში გამართული საზეიმო ვახშმიდან სრულიად მშვიდად იპარავდა ვერცხლის დანა-ჩანგალს და ჩანთაში იწყობდა, მოგვიანებით ალისთან განშორებისას არც მას დააკლო ხელი და გვარიანად გაძარცვა.

როგორც იქნა, მივედი ჩემი თხრობის იმ მონაკვეთთან, რის გამოც გადაწყვიტე, დღეს ამ დიად მოკრივეზე მესაუბრა. ალიმ მოსკოვის **„ცსკა"**-ს დარბაზში საჩვენებელი ბრძოლა გამართა სამ რუს მძიმეწონოსანთან: გორსტკოვთან, ზაევთან და ვისოცკისთან თითო რაუნდი იკრივა, ამის შესახებ ადრევე იყო ცნობილი და მეც ჩემს ორ მეგობართან ერთად მოსკოვს გავემგზავრე. როდესაც ბილეთების ასაღებად სალაროსთან მივედი, რიგის ბოლო არც კი ჩანდა. ის იყო უკან გამობრუნებას ვაპირებდი, ჩემი ყურადღება ახალგაზრდა წყვილმა მიიპყრო, რატომღაც ჩავთვალე, რომ ესენი კრივის დიდი მოყვარულები არ უნდა ყოფილიყვნენ და რიგშიც მაშინ გავრცელებული ჩვეულების გამო იდგნენ. ჩვეულება კი ასეთი გახლდათ. როდესაც რამე უჩვეულო და უცხოური იყიდებოდა, იმწამსვე უსასრულო რიგები დგებოდა. ზოგმა ისიც არ იცოდა, რის საყიდლად იდგა საათობით ამ ზედახორაში.

მოკლედ, მივედი ამ ახალგაზრდებთან და სამი მანეთი შევთავაზე, თუ რიგს დამითმობდნენ. ბიჭმა ერთი გახედა გოგოს, გაიცინეს, მკითხეს, რიგი რაზეაო, როცა ვუპასუხე, მწვანე სამმანეთიანი გამომართვეს და ხელიხელგადახვეულები თავის გზას დაადგნენ. ასე მომეცა საშუალება, მენახა კრივის ლეგენდა, თუმცა, ეს ის არ იყო, რასაც ველოდი; გვარიანად მოსუქებული ალი ზანტად გადაადგილდებოდა რინგზე და ხელებსაც უილაჯოდ, მოვალეობის მოხდის მიზნით იქნევდა. მხოლოდ მესამე რაუნდში, როდესაც ვისოცკიმ შეტევა გაბედა და ერთი-ორჯერ მიზანსაც უწია, ყველაფერი წამებში შეიცვალა, რინგზე უკვე მრისხანე ჩემპიონი იდგა, ვისოცკიმ ორიოსამ დარტყმას გაუძლო და მისდა ბედად, გონგმაც დროზე მოუსწრო, თორემ არა მგონია, თავისი ფეხით შინ დაბრუნება მოეხერხებინა. ეს ის დროა, როცა განუმეორებელი მუჰამედ ალი თავის საოცარ კარიერას ასრულებდა,

1970 წელს ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ ალის მიმართ გამოტანილი სანქციები გააუქმა და სამწლიანი უქმობის შემდეგ დიდი ჩემპიონი მესამედ შეუდგა გზას დიადი ტახტისკენ, რომელსაც მის არყოფნაში ახალი და ღირსეული მოკრივეები დაეპატრონნენ.

ამ გზაზე ალიმ დაამარცხა თანამედროვეობის უდიდესი მოკრივეები ჯო ფრეზერი და ჯორჯ ფორმენი, ეს ის ჯო ფრეზერია, რომელიც არავის და არაფერს ეპუებოდა და რომლის გამძლეობაზეც ლეგენდები დადიოდა, თუმცა ალისთან ვერ გაძლო, მართალია, არ დავარდნილა, მაგრამ როგორც შემდეგ თავადაც აღიარა, პირწმინდად დამარცხდა. ეს ის ჯორჯ ფორმენია, რომელმაც მოგვიანებით, 42 წლისამ მღვდლის ანაფორა გაიხადა, რინგზე დაბრუნდა, ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე მეტოქეებს ბღღვირი ადინა და 45 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონის რანგში წავიდა სპორტიდან და ეს ორი დიდი მოკრივე იყო სწორედ იმ სპორტულ ტელეგადაცემაში, ვინც ფეხზე წამოუდგა ოდესღაც დაუძინებელ მტერს და პატივით მიაცილა სავარძლამდე, რომელიც იმ წუთში დიდი კეისრის ტახტი იყო და მასზე დაჯდომის უფლება მხოლოდ დიადს, კასიუს მარცელიუს კლეის, იმავე მუჰამედ ალის ჰქონდა.

დაკრძალვა მუჰამედ ალის მშობლიურ ქალაქ ლუისვილში (კენტუკის შტატი) გაიმართა.

**თამაზ ჩიქვანაია**

---

# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

---

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

---

## იუმორი

დიასახლისი მოსამსახურე ქალს ეჩხუბება:

– რაც ჩემთან დაიწყე მუშაობა, ჯერ ვერცხლის კოვზები გაქრა, მერე ჩემი კოსმეტიკა, მერე პროდუქტები. დროა, კარებისაკენ მიგითითო!

– კარი რა ჯანდაბად მინდა?! – უკვირს მოსამსახურეს.

* * *

– მამიკო, შენთან იმიტომ შემოვირბინე, რომ სახლიდან წამოსვლის წინ კოცნა დამავიწყდა.

– დაგაგვიანდა, შვილო. ათი წუთის წინ დედაშენმაც შემომირბინა და დავიწყებული კოცნისათვის ლარიც არ დამიტოვა ჯიბეში.

* * *

შვილმა სკოლა დაამთავრა. მამა გახარებულია, სიგარეტის კოლოფი ამოიღო და შვილს ეუბნება:

– აი, თუ გინდა, მოწიე! უკვე დიდი ხარ!

– გმადლობთ, მამიკო, ორი წელია, რაც თავი გავანებე...

---


## გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.




*დომენტი ბაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.*

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**


---

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გადაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge